

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



ანნა თარალაშვილი

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და მისი  
პროგნოზირების მეთოდოლოგია სს „ბორჯომი ლიკანი  
ინტერნეიშენალის“ მაგალითზე

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ/ხელმძღვანელი:  
იზოლდა ჭილაძე, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

## ანოტაცია

**თემის აქტუალობა.** ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის საკითხი საკმაოდ აქტუალურია. საწარმოს საქმიანობის შედეგები და მისი წარმატება ფინანსურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული, ამიტომაც მათ ფინანსურ ანალიზს დიდი ყურადღება ეთმობა. ფინანსური ანალიზის შედეგიანობა დამოკიდებულია თვით ორგანიზაციისა და მისი ინფორმაციული ბაზის სრულყოფილებაზე. ინფორმაციის ძირითად წყაროს, ფინანსური ანალიზის განსახორციელებლად, წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დანართები, მ/ზ-ის ანგარიშგება, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.

**კვლევის მიზანი.** მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ფინანსური ანალიზის განხორციელებას „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“-ს მაგალითზე, ანალიზის შედეგების გამოვლენა, როგორც მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი.

**კვლევის საგანს** წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობა, ლიკვიდურობა, გადახდისუნარიანობა და საწარმოს გაკოტრების ალბათობა.

**კვლევის ობიექტს** წარმოადგენს სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“.

ნაშრომში წარმოდგენილია სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“-ს ფინანსური ანგარიშგებები, რომელთა დაყრდნობით ჩატარდა ფინანსური ანალიზი. კერძოდ, წარმოდგენილია საწარმოს ბალანსის ჰორიზონტალური და ვერტიკალური სტრუქტურები, შესწავლილია გადახდისუნარიანობისა და ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლები, მოკლედაა განხილული საქმიანი აქტივობის ანალიზი, გაკეთებულია დასკვნები.

## Annotation

In the given thesis here is considered financial analysis' issues and financial state's prognosis methods. The enterprise's financial analysis is conducted through its solvency, studying its financial stability using its indicators' system and company's business activity., Other methods are also used, depending on the purposes and the scale of the financial analysis and analyzers' attitudes as well.

The enterprise's liquidity and solvency are different from each other but interrelated features. Under the term of asset's liquidity is meant the ability of transformation into monetary ways for some time. However, the degree of liquidity is determined with the time period in which the given asset changes into money. But the solvency means the existence of the monetary sources and its equivalencies, that are essential for covering the so called creditor debts.

The financial prognosis – this is special type of the prognosis, which is particular for its structure and formation. Prognosis formation is done into financial documents, although, most of the indicators have obvious financial characteristics. The financial prognosis are needed for constructing the enterprise's expected financial picture to predict possible problems and investment needs.

In this thesis are introduced JSC “Borjomi Likani International's” financial reports used for conducting the given financial analysis. In particular, here are shown horizontal and vertical structures of the enterprise's balance, the solvency and financial stability indicators are studied as well, followed by a brief consideration of the business performance and conclusions accordingly.

Anna Taralashvili

The analysis of enterprise's financial condition and it's forecasting method on JSC “Borjomi Likani International” example

# შინაარსი

შესავალი.....	5
თავი 1. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მიზანი და ინფორმაციული წყარო.....	7
1.1 ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მიზანი და ამოცანები .....	7
1.2 ფინანსური მდგომარეობის ინფორმაციული წყარო.....	11
თავი 2. საანალიზო საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედეგები.....	23
2.1 საწარმოს გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთა სისტემა და ანალიზის შედეგები .....	23
2.2 საანალიზო საწარმოს საქმიანი აქტივობის ანალიზის შედეგები.....	39
2.3 საანალიზო საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ანალიზის შედეგები .....	44
თავი 3. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირების მეთოდოლოგია.....	54
3.1 მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების პროგნოზირება .....	54
3.2 ფულადი ნაკადების პროგნოზირება .....	62
3.3 საწარმოს მოსალოდნელი გაკოტრების პროგნოზირების მეთოდოლოგია.....	68
დასკვნა.....	75
გამოყენებული ლიტერატურა .....	80
დანართი.....	82

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის საკითხი საკმაოდ აქტუალურია. საწარმოს საქმიანობის შედეგები და მისი წარმატება ფინანსურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული, ამიტომაც მათ ფინანსურ ანალიზს დიდი ყურადღება ეთმობა.

შედეგები ბიზნესის ნებისმიერ სფეროში დამოკიდებულია ფინანსური რესურსების არსებობასა და მათ ეფექტიან გამოყენებაზე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსებზე ზრუნვას აქვს დიდი მნიშვნელობა. იმისათვის, რომ „გადარჩეს“ კომპანია და არ დაუშვას ხელმძღვანელობამ საწარმოს გაკოტრება, აუცილებელია ფინანსური ანალიზის მეშვეობით თავის დროზე გამოვლენილ იქნეს საწარმოს წინაშე მდგარი საფრთხეები ფინანსურ საქმიანობაში, რათა შემდგომ მოიძებნოს ფინანსური მდგომარეობისა და გადახდისუნარიანობის გაუმჯობესების რეზერვები. ამით განისაზღვრება მოცემული კვლევის აქტუალობა.

ფინანსური ანალიზის შედეგიანობა დამოკიდებულია თვით ორგანიზაციასა და მისი ინფორმაციული ბაზის სრულყოფილებაზე. ინფორმაციის ძირითად წყაროს, ფინანსური ანალიზის განსახორციელებლად, წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და დანართები, მ/ზ-ის ანგარიშგება, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.

**კვლევის მიზანი.** მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ფინანსური ანალიზის განხორციელება სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“-ს მაგალითზე, ანალიზის შედეგების გამოვლენა, როგორც მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი.

მოცემული მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი **ამოცანების** გადაჭრა:

- ფინანსური ანალიზის ცნების, მნიშვნელობისა და მეთოდების განსაზღვრა
- ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლების შესწავლა
- ფინანსური მდგომარეობის შეფასება საანალიზო საწარმოს მაგალითზე

**კვლევის საგანს** წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობა, ლიკვიდურობა, გადახდისუნარიანობა და საწარმოს გაკოტრების ალბათობა.

**კვლევის ობიექტს** წარმოადგენს სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“.

**კვლევაში გამოყენებული მეთოდები.** კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ ბაზას წარმოადგენს ქართველი და უცხოელი მეცნიერების შრომები ეკონომიკური თეორიის, საწარმოს ფინანსების სფეროში, ასევე სამეცნიერო სტატიები, დაკავშირებული ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებასთან.

**კვლევის შედეგები.** ზემოთხამოთვლილი ამოცანების გადასაჭრელად გამოყენებულ იქნა სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“-ს 2017 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება. ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს ბუღალტრული ბალანსი და მოგება/ზარალის ანგარიშგება, რადგანაც ისინი ასახავენ ფინანსურ მდგომარეობას საანგარიშგებო პერიოდისთვის, ასევე ამ პერიოდში მიღწეულ ფინანსურ შედეგებს.

მოცემულ ნაშრომში განხილულია შემდეგი საკითხები: ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მიზანი და ამოცანები, მისი ინფორმაციული წყარო; თეორიულად და პრაქტიკულად განხილულია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი: გადახდისუნარიანობისა და ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლები, საწარმოს საქმიანი აქტიურობა; ბოლოს გადმოცემულია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირების მეთოდიკა.

# თავი 1. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მიზანი და ინფორმაციული წყარო

## 1.1 ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მიზანი და ამოცანები

საწარმოს ფინანსური ასპექტების წინა პლანზე დაყენება და ფინანსების როლის ზრდა წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს დამახასიათებელ ნიშანსა და მის ტენდენციას.

აქედან გამომდინარე, იზრდება ფინანსური ანალიზის პრიორიტეტულობა და როლი, რომელიც გულისხმობს საწარმოთა ფინანსური მდგომარეობისა და მისი ფორმირების ფაქტორთა კომპლექსურ შესწავლას, ფინანსური რისკების ხარისხის შეფასებისა და კაპიტალის შემოსავლიანობის დონის პროგნოზირების მიზნით.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა ხასიათდება მაჩვენებელთა სისტემით, რომელიც გვიჩვენებს კაპიტალის მდგომარეობას მისი ბრუნვის პროცესში და სამეურნეო სუბიექტის უნარს დააფინანსოს თავისი საქმიანობა.

სხვადასხვა პროცესის შედეგად იცვლება კაპიტალის სტრუქტურა, საწარმოს რესურსებისა და დაფინანსების წყაროების თანაფარდობა, იცვლება მოთხოვნა ფინანსურ რესურსებზე, საბოლოო ჯამში, საწარმოს ფინანსური მდგომარეობა გულისხმობს მის გადახდისუნარიანობასა და მომგებიანობის უნარს.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზი - კომპლექსური ცნებაა, იგი ხასიათდება ფინანსურ მაჩვენებელთა სისტემით, რომლითაც ფასდება საწარმოს გადახდისუნარიანობა, ფინანსური მდგრადობა, საქმიანი აქტივობა, ფინანსური შედეგები და ორგანიზაციის რენტაბელობა, ასევე მისი საინვესტიციო საქმიანობა.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა ხასიათდება:

- ✓ ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფით, რომლებიც აუცილებელია საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის
- ✓ ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენებით
- ✓ მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან, ფინანსურ დაწესებულებებთან და სახელმწიფოსთან პარტნიორული კავშირების საიმედოობით
- ✓ საწარმოს რეპუტაციით დარგსა და სახელმწიფოში

ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს მდგრადი, არამდგრადი და კრიზისული. საწარმოს უნარი, წარმატებით იფუნქციონიროს და განვითარდეს, შეინარჩუნოს აქტივებისა და პასივების წონასწორობა შიდა და გარე ცვალებად გარემოში, მუდმივად ინარჩუნებდეს თავის გადახდისუნარიანობასა და საინვესტიციო მიმზიდველობას რისკის დასაშვები დონის ჩარჩოებში, მიუთითებს საწარმოს ფინანსურ სტაბილურობაზე და პირიქით.

თუკი გადახდისუნარიანობა - ესაა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გარე გამოვლინება, ფინანსური სტაბილურობა - მისი შიდა მხარეა, რომელიც ასახავს ფულად და სასაქონლო ნაკადების ბალანსს, შემოსავლებისა და ხარჯების, რესურსებისა და მათი ფორმირების წყაროების ბალანსს.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და მისი სტაბილურობა დამოკიდებულია მის საწარმოო, კომერციულ და ფინანსურ საქმიანობაზე. თუ საწარმოო და ფინანსური გეგმა წარმატებით სრულდება, ეს დადებითად იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზეც. საპირისპიროდ, წარმოების მოცულობისა და რეალიზაციის დაცემის შედეგად იზრდება პროდუქციის თვითღირებულება, მცირდება შემოსავლები და საბოლოო ჯამში უარესდება საწარმოს გადახდისუნარიანობა.

საწარმოს ფინანსური საქმიანობის მთავარ მიზანს წარმოადგენს ერთი სტრატეგიული ამოცანა - საკუთარი კაპიტალის ზრდა და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება ბაზარზე. ამისათვის კი ხელმძღვანელობამ და ფინანსურმა მენეჯერმა უნდა იზრუნოს გადახდისუნარიანობასა და რენტაბელობაზე, ასევე მიაღწიოს აქტივებისა და პასივების ოპტიმალურ სტრუქტურას.

*ანალიზის სუბიექტები:* საწარმოებში ეკონომიკური და ფინანსური ანალიზის ჩატარებაზე პასუხისმგებელი არიან ფინანსური დირექტორი და შესაბამისი სპეციალისტები; მსხვილ საწარმოებში, ასევე სახელმწიფო დონეზე ანალიტიკურ სამუშაოს ატარებენ კონსალტინგური ფირმები, ხელშეკრულებისა და კომერციულ საფუძველზე.

*ფინანსური ანალიზის საგნის ქვეშ იგულისხმება* ფინანსურ მაჩვენებელთა დინამიკა, მათი ცვლილებების მიზეზები, მაჩვენებელთა ცვლილებების გავლენა ერთმანეთზე და საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე მთლიანად.



ფინანსური ანალიზის ობიექტს წარმოადგენს საწარმოს საქმიანობა და იმ ორგანიზაციათა ფინანსური ოპერაციები, რომლებიც ფინანსურ გათვლებს ახორციელებენ.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზში გამოიყენება ფინანსური ანალიზის მეთოდები, ფინანსურ მაჩვენებელთა ცვლილებებისა და მათი კავშირის შესწავლის მიდგომები. მათ მიეკუთვნება:

- ✓ კოეფიციენტების მეთოდი
- ✓ ექსპრეს-ანალიზის მეთოდი
- ✓ ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზის მეთოდი
- ✓ ტრენდული მეთოდი
- ✓ აბსოლუტურ და შეფარდებით სიდიდეთა სხვაობის მეთოდი
- ✓ აბსოლუტური და ჯაჭვური ჩასმის ხერხები
- ✓ საბალანსო მეთოდი
- ✓ ინდექსების მეთოდი
- ✓ მათემატიკური მეთოდები

მათი ნაწილი ტრადიციული ანალიზის მეთოდებს მიეკუთვნება, ნაწილი კი სტატისტიკურ და მათემატიკურ ხერხებს წარმოადგენს.

ანალიზის ძირითადი მეთოდებია:

- საწარმოს მდგომარეობის დროული და ობიექტური დიაგნოსტიკა, ფინანსური პრობლემების გამოვლენა და მათი გამომწვევი მიზეზების შესწავლა
- როგორც შიდა, ისე გარე საფრთხეების გამოვლენა
- ფინანსური მდგომარეობის, გადახდისუნარიანობისა და ფინანსური სტაბილურობის გაუმჯობესების რეზერვების ძიება
- კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც მიმართული იქნება რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე
- შესაძლო ფინანსური შედეგების პროგნოზირება და ფინანსური მდგომარეობის მოდელების შემუშავება, რესურსების გამოყენების სხვადასხვა ვარიანტის შემთხვევაში

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი იყოფა ორ ტიპად: შიდა და გარე. ისინი ერთმანეთისგან განსვავდებიან თავისი არსითა და მიზნებით.

შიდა ანალიზი - ეს არის კაპიტალის ფორმირების, განთავსებისა და გამოყენების მექანიზმის შესწავლის პროცესი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების, კაპიტალისა და მისი შემოსავლიანობის ზრდის მიზნით.

გარე ანალიზი წარმოადგენს სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის შესწავლის პროცესს კაპიტალის ინვესტირების რისკის ხარისხისა და მისი შემოსავლიანობის დონის პროგნოზირების მიზნით.

რაც შეეხება ანალიზის პრაქტიკულად ჩატარებას, მისი არსი და თანმიმდევრობა დამოკიდებულია ანალიზის მიზნებსა და ინფორმაციულ ბაზაზე. საწყის ეტაპზე, ანალიტიკოსი განსაზღვრავს კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებას; მოქმედებათა თანმიმდევრობა და პრიორიტეტები შეიძლება შეიცვალოს ანალიზის მსვლელობის დროს.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი ძირითადად დაფუძნებულია შეფარდებით მაჩვენებლებზე, რადგანაც ბალანსის აბსოლუტური მაჩვენებლები, განსაკუთრებით ინფლაციის პირობებში, რთულია შესადარ სახეში მოიყვანო.

ფარდობითი მაჩვენებლები შეიძლება შევადაროთ:

- საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს, რისკის შეფასებისა და შესაძლო გაკოტრების პროგნოზირებისთვის
- სხვა საწარმოთა ანალოგიურ მაჩვენებლებს, რაც საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ საწარმოს ძლიერი და სუსტი მხარეები და მისი შესაძლებლობები
- გასული წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს, ტენდენციის გამოსავლენად

## 1.2 ფინანსური მდგომარეობის ინფორმაციული წყარო

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედეგიანობა დამოკიდებულია ორგანიზაციაზე და მისი საინფორმაციო ბაზის სრულყოფილებაზე.

ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანია მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფისთვის. მათ შორის, ვინც პირდაპირ თუ ირიბადაა დაინტერესებული ინფორმაციის მიღებით სხვადასხვა მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად. გამოიყოფა:

- კრედიტორები - მათთვის მნიშვნელოვანია, კომპანია ინარჩუნებდეს ფინანსურ სტაბილურობას, რადგანაც მან შეძლოს ძირი თანხისა და პროცენტების დროული დაფარვა. კრედიტორებს მიეკუთვნება: ბანკები, კომპანიის მომწოდებლები, პროდუქციის მყიდველები, რომლებიც წინასწარ იხდიან საფასურს. როგორც წესი, მომწოდებლები და მყიდველები არ აფასებენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, რაც დიდ ნაკლს წარმოადგენს, რადგანაც რეალიზებული პროდუქციის ღირებულების ან წინასწარ გადახდილი თანხის დაკარგვის რისკი საკმაოდ მაღალია, რაც საფრთხეს უქმნის თვით კრედიტორის ფინანსურ მდგომარეობას.

საკრედიტო მიზნების გარდა, მყიდველებსა და მომწოდებლებს სხვა მიზნებიც ამოძრავებთ, მაგალითად, მომწოდებლის მიზანი, ხშირ შემთხვევაში, არის მუდმივი კლიენტის ყოლა, რადგანაც პარტნიორის ძიებას თან ახლავს გარკვეული ხარჯებიც როგორც ფინანსური, ისე დროის თვალსაზრისითაც. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ორგანიზაცია დაინტერესდება პოტენციური კლიენტის ფინანსური მდგომარეობით. ცალკეულ შემთხვევებში, ბაზარზე შეიძლება არსებობდეს ერთადერთი მწარმოებელი/მყიდველი საჭირო პროდუქციის და თუ მისი ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა, მაშინ ასეთი მონოპოლისტის კონტრაგენტები შეიძლება აღმოჩნდნენ რთულ სიტუაციაში.

კრედიტორებს ასევე მიეკუთვნებიან ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები. დაინტერესებულ პირთა წრე ფართოვდება, თუკი კომპანია სასესხო ვალდებულებების ემისიას ახორციელებს, რომლებიც თავისუფალ მიმოქცევაშია ბაზარზე.

კრედიტორთა მოცემული ტიპი საკმაოდ მრავალფეროვანია - ისინი შეიძლება იყვნენ ბანკები, საფინანსო ორგანიზაციები, საინვესტიციო ფონდები, არასახელმწიფო საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები, სხვა ორგანიზაციები და კერძო პირები. მოცემულ ბაზარზე ვალდებულების შეფასებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, რომლებიც დაკავშირებულია ემიტენტის ფინანსურ მდგომარეობასთან პირდაპირ თუ ირიბად. სასესხო ვალდებულებების დაფარვას ახორციელებს კონკრეტული ემიტენტი, ამიტომ ძირითადი თანხის დაბრუნება დამოკიდებულია მხოლოდ მის ფინანსებზე, მასთან არის დაკავშირებული ასევე შემოსავლის მიღება დისკონტის ან პროცენტის სახით.

- საწარმოს მესაკუთრეები - მათი მიზანია შეინარჩუნონ და გაზარდონ მათ მიერ ჩადებული თანხა და შესაბამისი შემოსავლები, რაც შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მდგრადობის შენარჩუნებით. საწარმოს ფლობა შეიძლება განხორციელდეს აქციების შეძენის გზით, ასევე წილის გამოსყიდვით. მეორე შემთხვევაში სისტემა უფრო ჩაკეტილია და მესაკუთრეები, როგორც წესი, ფლობენ დიდ ინფორმაციას, რომლის გამოყენებაც უნდა იცოდეს.
- საწარმოს თანამშრომლები - ბუნებრივია, დასაქმებულის ინტერესებშია ნამუშევარი დროისთვის შესაბამისი ანაზღაურების აღება, ასევე სამუშაო ადგილის შენარჩუნების პერსპექტივა მოცემულ კომპანიაში, ხელფასის გაზრდა, დაზღვევა და ა.შ
- დასაქმებულთა შორის, შეიძლება გამოვყოთ მნიშვნელოვანი ჯგუფი - მენეჯერთა გუნდი, რომლებიც პირადად არიან დაინტერესებულნი გააუმჯობესონ ფირმის ფინანსური მდგომარეობა და აამაღლონ პოზიციები ბაზარზე ყველა მიმართულებით. კომპანიის გაკოტრება გამოიწვევს არა მხოლოდ მათ გათავისუფლებას სამსახურიდან, არამედ დაეცემა ამით მათი პროფესიული იმიჯი. ხშირად, მმართველები წარმოადგენენ კომპანიის თანამესაკუთრეებს, ამიტომაც გაკოტრება უარყოფითად აისახება მათსავე ფინანსურ მდგომარეობაზე. სწორედ მენეჯერები ფლობენ ინფორმაციის უდიდეს ნაწილს ფირმის საქმიანობის შესახებ, რომლის შესწავლის საფუძველზეც ხდება მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილებების მიღება საწარმოო, კომერციულ და ფინანსურ სფეროებში.

- სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობა - მათი ინტერესი გამოიხატება რეგიონისა და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შენარჩუნებასა და ზრდაში, გადასახადების მიღებაში, მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობასა და მაღალი დონის შენარჩუნებაში, ასევე საჭირო საქონლისა და მომსახურების წარმოებაში.

პრაქტიკულად, სახელმწიფოს საწარმოს მიმართ აქვს ფისკალური ინტერესი, კომპანიათა არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა საშუალებას არ იძლევა ბიუჯეტის შემოსავლების აუცილებელი დონის აკუმულირებას გადასახადების სახით. ამასთან, ხშირად მმართველი ორგანოები ხელს უწყობენ კომპანიებს საქმიანობის წარმართვაში, თუკი ასეთი ფირმები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ რეგიონსა და მთლიანად, სახელმწიფოში. ეს ყველაფერი კი საბიუჯეტო ხარჯებს ზრდის.

- ფირმის კონკურენტები - კონტრაგენტთა ერთადერთი ჯგუფი, რომელიც დაინტერესებულია ფირმის ფინანსური მდგომარეობის გაუარესებასა და გაკოტრებით. ისინი იღებენ ინფორმაციას როგორც ოფიციალური ანგარიშგებიდან, ასევე სხვა წყაროებიდანაც (უმეტესად, არაკანონიერი გზით).

დაინტერესებულ პირთა საკმაოდ დიდი რიცხვი საჭიროს ხდის ანალიზის მეთოდის შემუშავებას. მდგრადი ფინანსური მდგომარეობა არა მხოლოდ ფინანსების ხარისხობრივი აღწერაა, არამედ რაოდენობრივად გაზომვადი მოვლენაა. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება - რთული, საინტერესო და მრავალასპექტიანი პროცესია, რომლის სრულყოფილად ფორმალიზება შეუძლებელია. საერთო ჯამში, ანალიზის მიზანს წარმოადგენს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ობიექტური, სრული და ზუსტი სურათის მიღება და მის ცვლილების შესაძლებლობების შეფასება მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში. იქედან გამომდინარე, თუ რა სახის ურთიერთობა აქვს ფირმას ყოველ კონკრეტულ კონტრაგენტთან, ანალიზის კონკრეტული მიზანი იქნება განსხვავებული. კრედიტორისთვის - გადახდისუნარიანობის განსაზღვრა, ინვესტორისთვის - საინვესტიციო მიმზიდველობა და ა.შ.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფა - ეს არის ინფორმაციული რესურსების ერთობლიობა, რომელიც საჭიროა ანალიტიკური პროცედურების ჩასატარებლად.

ინფორმაცია არის მონაცემები, რომლებიც არის იმგვარად დამუშავებული, რომ გააჩნია ღირებულება მისი მიმღები პირისთვის, ანუ გამოსადეგია გადაწყვეტილების მისაღებად.

ინფორმაციის სარგებლიანობა განისაზღვრება მისი გავლენის ხარისხით მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაზე. ინფორმაციამ საშუალება უნდა მოგვცეს შევაფასოთ წარსული და მიმდინარე მოვლენები, ასევე გავაკეთოთ საჭირო პროგნოზები. მაგალითად, ახალი საინვესტიციო პროექტის დაგეგმილი რენტაბელობის შესახებ მონაცემები გავლენას ახდენს ბანკის გადაწყვეტილებაზე, გასცეს გრძელვადიანი სესხი. მომწოდებელს ასეთი ინფორმაცია არ ესაჭიროება, როდესაც კომპანიებს შორის იდება ხელშეკრულება პროდუქციის მოწოდებაზე. ინფორმაციის სარგებლიანობა შეიძლება იყოს სხვადასხვა არა მხოლოდ შინაარსიდან, არამედ მომხმარებელთა ტიპიდან გამომდინარე. მმართველობითი გადაწყვეტილებები მით უფრო უკეთესია, რაც უფრო ხარისხიან ინფორმაციას ეყრდნობა.

„სარგებლიანობა“-ს შეიძლება დავუკავშიროთ ისეთი ცნებები, როგორებიცაა საიმედოობა, დროულობა და სისრულე. რეალურად, არასაიმედო ან არასრული ინფორმაცია კარგავს თავის სასარგებლო თვისებებს.

ინფორმაციის საიმედოობა ნიშნავს იმას, რომ ის წარსულ მოვლენებს ადეკვატურად უნდა ასახავდეს. ბუღალტრული ინფორმაციისთვის, მაგალითად, აუცილებელია შეცდომების არარსებობა, ოპერაციების ასახვა მათი ეკონომიკური შინაარსისა და აღრიცხვის მიღებული წესების შესაბამისად. საიმედოობა გულისხმობს ინფორმაციის: სამართლიანად წარდგენას, ნეიტრალურობას (არ უნდა ასახავდეს ისეთ ინფორმაციას, რომელიც წინასწარგანზრახულ შედეგს განაპირობებს), წინდახედულობასა და სისრულეს.

სრულია ინფორმაცია, თუ იგი მოიცავს იმ ყველა საჭირო მონაცემს, რომელიც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად. ზოგიერთი მონაცემის უქონლობამ შეიძლება მიგვიყვანოს არასწორ გადაწყვეტილებამდე. ინფორმაცია იმდენად

სრულყოფილი უნდა იყოს, რამდენადაც საჭიროა, მაგრამ არ უნდა იყოს ზედმეტად დეტალიზებული.

ისეთი თვისება, როგორცაა „დროულობა“, ნიშნავს, რომ რაც ნაკლები დრო გავიდა მოვლენის მოხდენის მომენტიდან მისი ასახვის მომენტამდე ინფორმაციის სხვადასხვა წყაროში, მით მეტადაა ეს ინფორმაცია ღირებული მომხმარებლისთვის. მაგალითად, 3 წლის წინანდელი ინფორმაცია აქციის კურსის ცვლილებისა ნაკლებად სასარგებლოა ინვესტორისთვის, ვიდრე ამავე სახის ინფორმაცია, ოღონდ უკანასკნელი სამთვიანი პერიოდისთვის ყიდვის მომენტამდე.

სამეურნეო პროცესების მართვა წარმოუდგენელია შესაბამისი სრულფასოვანი ინფორმაციის გარეშე. ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს აღრიცხვა წარმოადგენს. სწორედ აღრიცხვიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაფუძნებული სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობა და კონტროლი.

ბუღალტრული აღრიცხვის მიზანია, ერთმანეთთან დააკავშიროს ბიზნესის მწარმოებელი და ბიზნესის საქმიანობით დაინტერესებული პირები. იგი მონაცემების რეგისტრაციის გზით ზომავს სამეურნეო საქმიანობას, ამუშავებს მონაცემებს და ინახავს მას გარკვეულ მომენტამდე, შემდეგ ახდენს მის გადამუშავებას ისე, რომ იგი გახდეს სასარგებლო ინფორმაცია საწარმოს საქმიანობით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის.<sup>1</sup>

ბუღალტრული აღრიცხვის ამოცანას წამოადგენს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შესახებ ისეთი სააღრიცხვო სისტემის შექმნა, რომლის მიზანი იქნება განისაზღვროს: საწარმოს ქონება, მისი ვალეები, მფლობელთა წილი ქონებაში, საწარმოს შემოსავლები, ხარჯები და წლიური ფინანსური შედეგები, რაც საშუალებას მოგვცემს, შევაფასოთ საწარმოს მომავალი, როგორც მომგებიანობის, ასევე გადახდისუნარიანობის თვალსაზრისით.

ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე ხდება საწარმოს მომავალი საქმიანობის დაგეგმვა, ანალიზი და კონტროლი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ორგანიზაციები აწყდებიან ისეთ პრობლემებს, როგორცაა, მაგალითად, პარტნიორის კვალიფიციური მოძიება და შერჩევა, შიდა და

---

<sup>1</sup> ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებში, ე.ლომსაძე, ც.მელიქიძე, ე.წამალაშვილი, თბილისი, 2010

გარე ბაზარზე, რომელზეც დამოკიდებული იქნება მომავალი თანამშრომლობის ეფექტიანობა. პარტნიორის ფინანსური მდგომარეობისა და მისი სტაბილურობის შესახებ ინფორმაციის არა ერთადერთ, მაგრამ ძირითად წყაროდ გვევლინება ფინანსური ანგარიშგება. ორგანიზაციის ანგარიშგება ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებს, რაც წარმოადგენს ორგანიზაციის მის პარტნიორებთან და საზოგადოებასთან დამაკავშირებელ საშუალებას.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზისთვის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს ოფიციალური ანგარიშგება, რომელიც შედგენილია სტანდარტების საფუძველზე (საწარმოს ბალანსი, ფინანსური შედეგების ანგარიშგება, საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება, ფულადი ნაკადების ანგარიშგება). ასევე ინფორმაციის წყაროდ გამოდგება ანგარიშგების სხვა ფორმები, პირველადი მონაცემები, ანალიტიკური ბუღალტრული ანგარიშგებები, რომლებიც ბალანსის ცალკეული მუხლების დეტალიზებას ახდენს.

ფინანსური ანგარიშგების მიზანია, ინფორმაციის მომხმარებლებს დაეხმაროს ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შესახებ საიმედო ინფორმაციის მიწოდებით. ინფორმაციაზე დაყრდნობით, მომხმარებელს შეუძლია დაადგინოს საწარმოს ფინანსური სტრუქტურა, ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა, აგრეთვე ეკონომიკური გარემოს ცვლილებებთან შეგუების უნარი.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს: ბალანსს, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას, ანგარიშგებას საწარმოს საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და სააღრიცხვო პოლიტიკასა და განმარტებით შენიშვნებს.

*ბალანსი* წარმოადგენს ყველაზე ინფორმაციულ დოკუმენტს ანალიზისთვისა და ფინანსური მდგომარეობის შეფასებისთვის. ანალიზის მიზნებისთვის, როგორც წესი, ბალანსს გარდაქმნიან იმგვარად, რომ აქტივებს აჯგუფებენ მათი ლიკვიდურობის, ხოლო პასივებს კი მათი დაფარვის ვადის მიხედვით. ბუღალტრული ბალანსის დანიშნულებაა ეკონომიკური სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის ასახვა დროის კონკრეტული მომენტისთვის. ბალანსი აჩვენებს, რა სახის ქონებას ფლობს საწარმო და



რომელი წყაროებიდან არის ეს ქონება ფორმირებული. ეკონომიკურ ლიტერატურაში ბუღალტრულ ბალანსს განმარტავენ როგორც საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მთლიანი კაპიტალის მდგომარეობის განზოგადებას ერთი თარიღისთვის ფულად საზომ ერთეულში.

ბუღალტრულ ბალანსში გადმოცემულია შემდეგი სახის ინფორმაცია:

#### აქტივები

- I. სწრაფადრეალიზებადი აქტივები: ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები, მოკლევადიანი ინვესტიციები, სხვა საბრუნავი საშუალებები
- II. საშუალოდ რეალიზებადი აქტივები: დებიტორული დავალიანებები
- III. მარაგები, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქცია, საქონელი, წინასწარ გაწეული ხარჯები
- IV. გრძელვადიანი აქტივები: არამატერიალური აქტივები, დაუმთავრებელი მშენებლობა, გრძელვადიანი ინვესტიციები

#### პასივები

- I. მოკლევადიანი პასივები: მოკლევადიანი სესხები
- II. კრედიტორული დავალიანებები, სხვა მიმდინარე ვალდებულებები
- III. გრძელვადიანი პასივები: გრძელვადიანი სესხები, სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები, საგადასახადო ვალდებულებები
- IV. საკუთარი კაპიტალი : საწესდებო კაპიტალი, სარეზერვო კაპიტალი, საემისიო კაპიტალი

იქედან გამომდინარე, რომ სწორედ ბალანსში არის მოცემული ინფორმაცია საწარმოს აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის შესახებ, მკვლევარს საშუალება აქვს ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ბუღალტრული ბალანსის ანალიზი ითვლება საკმაოდ შრომატევად პროცესად, რომლის დროსაც ხორციელდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შეფასება, მისი პრობლემური მუხლების გამოვლენა და დინამიკის განხილვა.

ბალანსის ანალიზი ხორციელდება შემდეგი საფეხურების მიხედვით:

- ბალანსის დინამიკისა და სტრუქტურის ანალიზი
- საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზი

- ბალანსის ლიკვიდურობისა და საწარმოს გადახდისუნარიანობის ანალიზი
- აქტივების შეფასება
- საქმიანი აქტიურობის ანალიზი
- საწარმოს ფინანსური მდგომარეობის დიაგნოსტიკა

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბალანსის როლი დიდია როგორც მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფისთვის, ასევე კონკრეტული მკვლევარისთვის ფინანსური ანალიზის განხორციელების დროს. ეს დაკავშირებულია მოთხოვნების ზრდასთან ინფორმაციის გამჭვირვალობის, საიმედოობის მიმართ, ასევე ინფორმაციის მნიშვნელობასთან გადაწყვეტილების მიღებისთვის. აქედან გამომდინარე, ფირმის ფინანსური განყოფილებების მომუშავეებს მეტი პასუხისმგებლობა აკისრიათ დღეს, ვიდრე ადრე.

ცხრილში მოცემულია სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“-ს ბუღალტრული ბალანსი

	2016	2017
<b>აქტივები</b>		
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>		
ძირითადი საშუალებები	61544	59548
არამატერიალური აქტივები	308	215
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>61852</b>	<b>59763</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>		
მარაგები	571	608
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2585	1067
ფული და ფულის ეკვივალენტები	4577	5505
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	<b>7733</b>	<b>7180</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>69585</b>	<b>66943</b>
<b>საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>		
სააქციო კაპიტალი	51145	51145
დამფუძნებლებთან ოპერაციის რეზერვი	5660	5926
დაგროვილი ზარალი	(31701)	(36199)
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>	<b>25104</b>	<b>20872</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	33170	26414
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>33170</b>	<b>26414</b>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>		
საგადასახადო ანარიცხი	-	957
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	9221	16422
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2090	2278
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>	<b>11311</b>	<b>19657</b>
<b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>69585</b>	<b>66943</b>

აქტივების სტრუქტურაში უდიდესი წილი უკავია ძირითად საშუალებებს (შესაბამისად, 88.45% და 88.96%), რაც ბუნებრივია კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე; ყველაზე პატარა წილს კი არამატერიალური აქტივები იკავებს.

რაც შეეხება დაფინანსების წყაროებს, მაქსიმალური წილი უკავია კაპიტალსა და რეზერვებს, მინიმალური - სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

ბალანსის დაწვრილებითი ანალიზი მოცემულია მომდევნო საკითხებში.

საწარმოს მესაკუთრეები და სხვა დაინტერესებული პირები ვერ მიიღებენ სათანადო ინფორმაციას მხოლოდ ბუღალტრულ ბალანსში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მათ სჭირდებათ დამატებითი მონაცემები არა მხოლოდ ნაშთებზე, არამედ საწარმოს რესურსების მოძრაობისა და მათი ფორმირების წყაროების შესახებ. ყველანაირი სახის ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების სხვა ფორმებში.

ფინანსური შედეგების ანგარიშგება, იგივე *ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ*, საწარმოს მნიშვნელოვანი ფინანსური დოკუმენტია. ბალანსისგან განსხვავებით, მ/ზ-ის ანგარიშგება შეიცავს დინამიურ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას მიაღწია საწარმომ, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, რის საფუძველზე და რა მასშტაბისაა საწარმოს საქმიანობა. მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახულია ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციისა და მომსახურების წარმოებასთან, ასევე შემოსავალი რეალიზაციიდან (შემოსავალი გაყიდული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურების სანაცვლოდ) და შემოსავლის სხვა წყაროები. სხვაობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის გვიჩვენებს საწარმოს მოგებას ან ზარალს.

*მ/ზ-ის ანგარიშგება* წარმოადგენს ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს საწარმოს რენტაბელობის, რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობის, პროდუქციის წარმოების რენტაბელობის მაჩვენებელთა ანალიზისთვის, ასევე წმინდა მოგების სიდიდის განსაზღვრისთვის, რომელიც რჩება საწარმოს განკარგულებაში და სხვა მაჩვენებელთა ანალიზისათვის.

ფინანსური შედეგების ანგარიშგება წარმოადგენს გვიქმნის საწარმოს ფინანსური და საწარმოო შესაძლებლობების შესახებ არა მარტო წარსულში და მიმდინარე პერიოდისთვის, არამედ მომავალში მოსალოდნელ ტენდენციაზეც. ამიტომ, ანალიტიკოსებისთვის და ინვესტორებისთვის აღნიშნული ანგარიშგება საკმაოდ საინტერესოა.

ფულადი საშუალებების მოძრაობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ინფორმაცია ფინანსური რესურსების დინამიკაზე, საანგარიშგებო პერიოდში, საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობების შედეგად.

ბუღალტრული ანგარიშგება უნდა მოიცავდეს ყველა მონაცემს, რომელიც საჭიროა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სრულყოფილი სურათისა და სანდო წარმოდგენის შექმნისათვის. თუკი ინფორმაცია არასაკმარისია, მაშინ ანგარიშგებას უმატებენ შესაბამის დამატებით მაჩვენებლებსა და ახსნა-განმარტებებს. ასევე, წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს ნეიტრალური, ეს პრინციპი აუცილებლად დაცული უნდა იყოს, ე.ი გამოირიცხება ერთი ჯგუფის ინტერესების ცალმხრივი დაკმაყოფილება. თუკი ინფორმაცია გავლენას ახდენს მომხმარებელთა შეფასებებზე ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ, ასევე დაინტერესებულ პირთა გადაწყვეტილებებზე, წინასწარ განსაზღვრული შედეგების მისაღწევად, ასეთი ინფორმაცია არ წარმოადგენს ნეიტრალურს.

ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტი ურთიერთდაკავშირებულია და წარმოადგენს ერთ მთელს, რადგანაც ასახავს ერთიდაიგივე სამეურნეო ოპერაციების სხვადასხვა ასპექტს. მაგალითად, ბალანსში წარმოდგენილ ინფორმაციას ავსებს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია და პირიქით. სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები ბალანსის მონაცემებს განავრცობს, შესაბამისად იგი იძლევა დამატებით ინფორმაციას, რომელიც სასარგებლოა სრულყოფილი ანალიზის ჩასატარებლად.

ბალანსის მონაცემების მიხედვით, განსაზღვრავენ ფირმის ფინანსურ შედეგებს საკუთარი კაპიტალის ზრდის სახით საანგარიშგებო პერიოდში, რის საფუძველზეც მსჯელობენ მმართველობის უნარზე, შეინარჩუნონ და გაზარდონ მათ მიერ ჩადებული მატერიალური და ფულადი რესურსები.

ბალანსის დანართი, იგივე განმარტებითი შენიშვნები ასახავს ინფორმაციას არამატერიალური აქტივების, ძირითადი საშუალებების, სხვადასხვა სახის დაბანდების, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების შესახებ. აუცილებელია საწარმო უცვლელად, წლების განმავლობაში იყენებდეს არჩეულ სააღრიცხვო პოლიტიკას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკა მუდმივად უცვლელი დარჩეს. მისი

შეცვლა შესაძლებელია, თუ ამას მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობა ან ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შემმუშავებელი ორგანო, ან იმ შემთხვევაში, თუ სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის შედეგად საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოვლენები და სამეურნეო ოპერაციები უფრო მისაღები ფორმით იქნება წარდგენილი.

## თავი 2. საანალიზო საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედეგები

### 2.1 საწარმოს გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთა სისტემა და ანალიზის შედეგები

ლიტერატურაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ორ მიდგომას განასხვავებენ: გადახდისუნარიანობის შეფასება და ფინანსური მდგრადობის შეფასება. ეს ორი მიდგომა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან.

საწარმოს ფინანსური სტაბილურობა (მდგრადობა) გამოიხატება საიმედოდ გარანტირებულ გადახდისუნარიანობაში, საბაზრო კონიუნქტურასა და პარტნიორთა ქცევაზე დამოუკიდებლობაში.

საერთაშორისო პრაქტიკაში, გადახდისუნარიანობა გულისხმობს ლიკვიდური აქტივების საკმარისობას თავისი მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარავად ნებისმიერ დროს. ლიკვიდური აქტივების მეტობა ასეთი სახის ვალდებულებებზე ნიშნავს ფინანსურ მდგრადობას. მაშასადამე, მდგრადობის მთავარი ნიშანი - წმინდა ლიკვიდური აქტივების ფლობაა, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა ყველა ლიკვიდური აქტივისა და ყველა მოკლევადიანი ვალდებულებას შორის, დროის ამა თუ იმ მომენტისათვის.

საწარმოს გადახდისუნარიანობა იგივე მოსალოდნელი უნარია, რომ საწარმო საბოლოოდ დაფარავს თავის ვალდებულებებს, ხოლო ლიკვიდურობა გულისხმობს ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების არსებობასა და საკმარისობას ვალდებულებების გადასახდელად მიმდინარე პერიოდში. თუმცა პრაქტიკაში გადახდისუნარიანობა და ლიკვიდურობა გამოდიან სინონიმების როლში.

მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს საწარმოს გადახდისუნარიანობასა და ლიკვიდურობას, არის საკუთარი საბრუნავი კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მოკლევადიან ვალდებულებებს შორის. საწარმო ფლობს საკუთარ საბრუნავ კაპიტალს მანამდე, სანამ საბრუნავი საშუალებები (იგივე მიმდინარე აქტივები) აღემატება მოკლევადიან ვალდებულებებს. ამ მაჩვენებელს ასევე უწოდებენ წმინდა მიმდინარე აქტივებს.

უმრავლეს შემთხვევაში, საკუთარი საბრუნავი კაპიტალის სიდიდის ცვლილების მიზეზს წარმოადგენს საწარმოს მიერ მიღებული შემოსავალი ან ზარალი.

საკუთარი საბრუნავი კაპიტალი მარტივად უნდა ტრანსფორმირდეს ფულად სახსრებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი როცა საბრუნავ აქტივებში სჭარბობს რთულადრეალიზებადი აქტივები, დაეცემა საწარმოს გადახდისუნარიანობა.

გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის, რომ საწარმოს მიმდინარე გადახდისუნარიანობის გამოვლენა შესაძლებელია ბალანსის მონაცემებზე დაყრდნობით თვეში ან კვარტალში ერთხელ. თუმცა საწარმო ანგარიშსწორებას კრედიტორებთან ახორციელებს ყოველდღიურად. ამიტომ გადახდისუნარიანობის ოპერატიული ანალიზისთვის, ყოველდღიურად რეალიზაციიდან და დებიტორული დავალიანებების დაფარვის შედეგად მიღებული შემოსავლების კონტროლისთვის, მიზანშეწონილია კალენდრის შედგენა, რომელშიც, ერთი მხრივ, ნაჩვენებია იქნება ხელთ არსებული ფულადი სახსრები, ასევე მოსალოდნელი მისაღები ფულადი ნაკადები, ანუ დებიტორული დავალიანებები, და მეორე მხრივ, გამოსახული იქნება საგადასახადო ვალდებულებები ამავე პერიოდისთვის. ოპერატიული საგადასახადო კალენდარი დგინდება რეალიზაციის, შექმნილი ნედლეულისა და მასალების, ასევე შრომის ანაზღაურების, ბანკის ამონაწერების მონაცემებზე დაყრდნობით.

გადახდისუნარიანობის შესაფასებლად გამოითვლება ლიკვიდურობის მაჩვენებლები.

ყველა ტერმინი, რომელიც ტრადიციულად გამოიყენება ფინანსური მდგომარეობის შეფასებისას, დაკავშირებულია ბუღალტრული ბალანსის მუხლებთან, მის აქტივებსა და პასივებთან.

*ლიკვიდური აქტივები* - ეს არის მობილური გადახდის საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვა, გადახდის ვადის დადგომისას ან მოთხოვნისთანავე.

ლიკვიდურ აქტივებს მიეკუთვნება ფულადი სახსრები, ასევე სწრაფადრეალიზებადი ფინანსური აქტივები - დეპოზიტები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, რომელთა ანალოგები მარტივად იყიდება და ხდება მათი კოტირება ბირჟაზე.



მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები წარმოადგენს ბანკის მოკლევადიან სესხებს, სხვა მოკლევადიან სესხებსა და კრედიტორულ დავალიანებებს, რომელიც აერთიანებს ვალდებულებებს მომწოდებელთა, მყიდველთა წინაშე; ვალდებულებებს შვილობილი კომპანიების წინაშე, ვალდებულებებს პერსონალის მიმართ, გასაცემ დივიდენდებსა და სხვა მიმდინარე ვალდებულებებს, რომელთა დაფარვის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

გადახდისუნარიანობისა და ფინანსური სტაბილურობის შეფასების ტრადიციული მეთოდები გულისხმობს კოეფიციენტების გამოთვლას, რომლებიც განისაზღვრება ყოველი კონკრეტული საწარმოს ბალანსის სტრუქტურაზე დაყრდნობით. გამოთვლილი კოეფიციენტები შემდგომ ედარება მათ ნორმატიულ მნიშვნელობებს, რაც წარმოადგენს შეფასების დასკვნით ეტაპს. ამის გარდა, ზოგჯერ აფასებენ კოეფიციენტთა დონეს ქულების მეშვეობით, შემდეგ ხდება ქულათა დაჯამება, რითაც დგინდება საწარმოს რეიტინგი სხვა საწარმოებთან შედარების გზით.

ლიკვიდურობის კოეფიციენტები აჩვენებენ, რამდენად შეუძლია საწარმოს დაფაროს თავისი ვალდებულებები. პრაქტიკაში ძირითადად იყენებენ სამ კოეფიციენტს:

- აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი
- სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი
- საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი

ყოველი მათგანი წარმოადგენს ფარდობას საბრუნავი აქტივების ამა თუ იმ მუხლთა ჯგუფსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის დროის მომენტისთვის (საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის ან ბოლოსთვის).

*აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი* გამოითვლება როგორც ფარდობა ფულად სახსრებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის. ეს მაჩვენებელი ასახავს, ვალდებულებათა რა ნაწილი შეიძლება დაფარულ იქნეს ბალანსის შედგენის თარიღისთვის. ამ კოეფიციენტის დასაშვები მნიშვნელობა მერყეობს 0,2-0,3 დიაპაზონში.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი განისაზღვრება როგორც ფულადი სახსრებისა და დებიტორულ დავალიანებათა ჯამის ფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან. იგი წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილის დაფარვაა შესაძლებელი არა მხოლოდ ფულადი სახსრებისა და ფასიანი ქაღალდების ხარჯზე, არამედ დებიტორული დავალიანებების ხარჯზე. რეკომენდირებულ მნიშვნელობად მიჩნეულია თანაფარდობა 1:1.

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი (იგივე, დაფარვის საერთო კოეფიციენტი ან მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი) განისაზღვრება როგორც მიმდინარე აქტივების ფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან. კოეფიციენტი ახასიათებს საწარმოს უზრუნველყოფას საბრუნავი სახსრებით. ამ მაჩვენებლის გამოთვლისას რეკომენდირებულია საბრუნავი სახსრების საერთო ჯამიდან გამოვრიცხოთ დღგ-ს გადასახადი და წინასწარ გაწეული ხარჯები. პარალელურად, მიმდინარე ვალდებულებებიდან გამოირიცხება მომავალში მისაღები თანხები და რეზერვები. მაჩვენებლის მნიშვნელობა არ უნდა იყოს 2-ზე ნაკლები და 3-ზე მეტი.

თუ ფირმას უჩნდება გარკვეული ფინანსური სირთულეები, ბუნებრივია, ის თავის ვალდებულებებს გაცილებით ნელა ფარავს; ხდება დამატებითი რესურსების ძიება (ბანკის მოკლევადიანი სესხები), სავაჭრო კრედიტების გადავადება და ა.შ. თუ მოკლევადიანი ვალდებულებები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე საბრუნავი საშუალებები, საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი მცირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოს პრობლემები აქვს ლიკვიდურობასთან. თუ საბრუნავი საშუალებები აღემატება მოკლევადიან ვალდებულებებს ორჯერ, ითვლება არასასურველად, რადგანაც ეს მიუთითებს იმაზე, რომ კომპანია არარაციონალურად და არაეფექტურად იყენებს რესურსებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვას გარანტირებულად უზრუნველყოფს ვადაგადაცილებული მოთხოვნებისგან გათავისუფლებული დებიტორული დავალიანებები, ხოლო მარაგებია შეიძლება განვიხილოთ როგორც ვალდებულებათა პოტენციური უზრუნველყოფა.

*ჩნდება კითხვა:* გრძელვადიანი ვალდებულებების უზრუნველყოფა არაა საჭირო ? და თუ ყველა საბრუნავი საშუალება „მიეკუთვნება“ მოკლევადიან კრედიტორებს, რით უნდა დაიფაროს გრძელვადიანი სესხები? გრძელვადიანი აქტივებით?! ამისათვის კი საჭიროა ფირმის სტაბილურობის მაჩვენებლები განვიხილოთ. ამ კოეფიციენტთა შორისაა: საბრუნავი აქტივების საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი, საწარმოს ავტონომიის კოეფიციენტი, ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტი, ქონების რეალური ღირებულების კოეფიციენტი, საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი, ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი.

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტისა და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტის გარდა ითვლიან ასევე „კრიტიკული შეფასების“ კოეფიციენტს, რომლის მრიცხველიც განსხვავდება აბსოლუტური ლიკვიდურობისა და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტების მრიცხველისგან. კერძოდ, აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტის მრიცხველისგან განსხვავდება დებიტორული დავალიანების სიდიდით, რომელთა დაფარვა მოსალოდნელია ბალანსის შედგენიდან 12 თვის განმავლობაში, ხოლო სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტის მრიცხველისგან - დებიტორული დავალიანების სიდიდით, რომელთა დაფარვა მოსალოდნელია ბალანსის შედგენიდან 12 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.

დღესდღეობით ეკონომიკურ ლიტერატურაში მიმდინარეობს დისკუსია იმის შესახებ, რომ კოეფიციენტთა რაოდენობა ზედმეტად ბევრია. აღსანიშნავია, რომ ლიკვიდურობისა და ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლების გარდა ასევე არსებობს მომგებიანობის, საკუთარი კაპიტალის მდგომარეობის და სხვა მაჩვენებლები. გამოთქვამენ რადიკალურ მოსაზრებას, რომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად საკმარისია ოთხი მაჩვენებელი: ფინანსური სტაბილურობა, გადახდისუნარიანობა, საქმიანი აქტიურობა და შემოსავლიანობა (მომგებიანობა).

თუკი განვიხილავთ ფინანსურ სტაბილურობას იურიდიულ ჭრილში, მაშინ მის ძირითად კრიტერიუმებად შეიძლება დავასახელოთ ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა.

1. ლიკვიდურობა - თავისი არსით, არის საწარმოს შესაძლებლობა, მოკლე ვადაში გადააქციოს გაცვლის საშუალებად ყველა თავისი აქტივი საბაზრო ფასად. სხვა

სიტყვებით, ლიკვიდურობა მიუთითებს უნარზე, სწრაფად გადაიკვალოს მატერიალური აქტივები ფულზე. ლიკვიდურობის გამოთვლისას გაითვალისწინება საწარმოს აქტივების ღირებულება, მათ შორის დებიტორული დავალიანება, ასევე დაუფარავი მოკლევადიანი ვალდებულებების მოცულობა.

2. გადახდისუნარიანობა - საწარმოს უნარი, დროულად დაფაროს თავისი მატერიალური (მათ შორის, ფულადი) ვალდებულებები.

## საწარმოს გადახდისუნარიანობის ანალიზი და მისი შედეგები

### სს ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი

ფინანსური ანგარიშგების მთავარ დოკუმენტს წარმოადგენს ბალანსი. უპირველეს ყოვლისა, ბალანსი არის სურათი იმისა, თუ რა რესურსებს ფლობს საწარმო და რა არის მათი დაფინანსების წყარო. ანალიტიკოსს ბალანსის საფუძველზე შესაძლებლობა აქვს ბევრი რამ გაიგოს კომპანიის შესახებ და გამოთქვას თავისი აზრი მთავარი მენეჯერის მუშაობის ეფექტიანობის შესახებ.

ბალანსი არის დაკავშირებული გარკვეულ პერიოდთან: არსებობს ბალანსი სამი თვის პერიოდისთვის, ნახევარი წლისთვის და მთლიანი წლის პერიოდისთვის. იმისათვის, რომ გავიგოთ თუ როგორ მუშაობდა კომპანია გარკვეული პერიოდის განმავლობაში, უნდა გადაიხედოს ანგარიშგების სხვა ფორმა - მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება.

არსებობს რამდენიმე მარტივი ხერხი, რომელიც ბალანსის პირველადი შეფასების დროს გამოიყენება.

ნებისმიერი ტიპის სამართლებრივი საწარმოს ბალანსი ეყრდნობა საბალანსო ტოლობას:

$$\text{აქტივი} = \text{საკუთარი კაპიტალი} + \text{ვალდებულებები (1)}$$

აღნიშნული ტოლობა შეიძლება სხვა ფორმითაც წარმოვადგინოთ:

$$\begin{aligned} & \text{მიმდინარე აქტივები} + \text{გრძელვადიანი აქტივები} = \\ & = \text{საკუთარი კაპიტალი} + \text{მიმდინარე ვალდებულებები} + \text{გრძელვადიანი} \\ & \quad \text{ვალდებულებები (2)} \end{aligned}$$

$$\begin{aligned} \text{საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს} & = \text{წმინდა მიმდინარე აქტივები} + \text{გრძელვადიანი} \\ & \quad \text{აქტივები} - \text{გრძელვადიანი ვალდებულებები (3)} \end{aligned}$$

საანალიზო საწარმოს ბუღალტრული ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის

აქტივი	2017წ		პასივი	2017წ	
	1/01	31/12		1/01	31/12
			<b>ვალდებულებები</b>		
			<b>ა. მიმდინარე ვალდებულებები</b>		
			- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 090	2 278
			-სესხები	9 221	16 422
			დაკავშირებული მხარეებისგან		
			-საგადასახადო ანარიცხი	-	957
			<b>ჯამი</b>	<b>11 311</b>	<b>19 657</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>			<b>ბ. გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		
-ფული და ფულის ექვივალენტები	4 577	5 505	-სესხები	33 170	26 414
-სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 585	1 067	დაკავშირებული მხარეებისგან		
-მარაგები	571	608	<b>ჯამი</b>	<b>33 170</b>	<b>26 414</b>
<b>ჯამი</b>	<b>7 733</b>	<b>7 180</b>	<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>44 481</b>	<b>46 071</b>
			<b>საკუთარი კაპიტალი</b>		
			-სააქციო კაპიტალი	51 145	51 145
			-დამფუძნებლებთან ოპერაციის რეზერვი	5 660	5 926
			-დაგროვილი ზარალი	(31 701)	(36 199)
			<b>ჯამი</b>	<b>25 104</b>	<b>20 872</b>
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>					
-არამატერიალური აქტივები	308	215			
-ძირითადი საშუალებები	61 544	59 548			
<b>ჯამი</b>	<b>61 852</b>	<b>59 763</b>			
<b>სულ</b>	<b>69 585</b>	<b>66 943</b>	<b>სულ</b>	<b>69 585</b>	<b>66 943</b>

საბალანსო ტოლობა საანალიზო საწარმოს ბალანსის მონაცემებზე დაყრდნობით:

$$(1) 66\ 943 = 20\ 872 + (26\ 414 + 19\ 657)$$

$$66\ 943 = 66\ 943$$

$$(2) 7\ 180 + 59\ 763 = 20\ 872 + 19\ 657 + 26\ 414$$

$$66\ 943 = 66\ 943$$

$$\text{საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს} = (7\ 180 - 19\ 657) + 59\ 763 - 26\ 414 = 20\ 872$$

ბუღალტრულ ბალანსში ინფორმაცია წარმოადგენილია წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ შესწავლილ იქნეს კომპანიის გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის ცვლილება წლის განმავლობაში.

ასევე, შეიძლება შეფასდეს, საწარმოში შენარჩუნებულია თუ არა კაპიტალი, რასაც კაპიტალის ფინანსური შენარჩუნების კონცეფცია ეწოდება.

კაპიტალის ფინანსური შენარჩუნების კონცეფციის თანახმად, საწარმო მოგებას იღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წმინდა აქტივების ფინანსური ღირებულება პერიოდის ბოლოსთვის აღემატება წმინდა აქტივების ფინანსურ ღირებულებას პერიოდის დასაწყისისთვის, რომელიც რჩება კაპიტალის განაწილებისა და მესაკუთრეთა მიერ განხორციელებული შენატანების გამოქვითვის შემდეგ.

წმინდა აქტივები = აქტივები - ვალდებულებები, ანუ იგივეა, რაც საკუთარი კაპიტალი. ჩვენს მაგალითზე, წმინდა აქტივები წლის ბოლოს შემცირდა 4 232 ათ. ლარით (20 872 – 25 104).

ბალანსის ანალიზი ხორციელდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება ძირითადი ტენდენციების ანალიზი, მეორე ეტაპზე კი ფინანსური კოეფიციენტების მეშვეობით ხდება ანალიზი.

ძირითადი ტენდენციების გამოვლენის მიზნით გამოიყენება ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი.

ჰორიზონტალური ანალიზი - ეს არის ბალანსის მუხლების ცვლილების ანალიზი დროში.

ვერტიკალური ანალიზის მეშვეობით შეისწავლება საწარმოს აქტივებისა და მისი დაფინანსების წყაროების სტრუქტურა, რომელიც ხვედრითი წილის მაჩვენებლებით ხასიათდება.

**ბუღალტრული ბალანსის ვერტიკალური ანალიზი**

პასივების სტრუქტურის ანალიზისას პირველ რიგში ყურადღება მახვილდება იმაზე, რა ხვედრითი წილი უკავია ფაქტობრივ საკუთარ კაპიტალს დაფინანსების წყაროებში. თუკი საკუთარი კაპიტალის ზრდის ტემპი აღემატება ვალდებულებების ზრდის ტემპს, ეს კომპანიას ფინანსურად მეტად სტაბილურს ხდის.

**საანალიზო საწარმოს აქტივებისა და დაფინანსების წყაროების  
ზოგადი სტრუქტურა (%-ად)**

ცხრილი 1

მაჩვენებლები	2016 წ	2017 წ
1. მიმდინარე აქტივები	11.11	10.73
2. გრძელვადიანი აქტივები	88.89	89.27
-----	-----	-----
ჯამი	100	100
1. ვალდებულებები	63.92	68.82
2. საკუთარი კაპიტალი	<b>36.08</b>	<b>31.18</b>
-----	-----	-----
ჯამი	100	100

როგორც ცხრილიდან ჩანს, საანალიზო საწარმო ძირითადად დაფინანსებულია მოზიდული კაპიტალით. საკუთარი კაპიტალის წილი 50 %-ზე ნაკლებია, რაც საყურადღებოა მენეჯმენტისთვის. ვალდებულებების მაღალი წილი პასივებში ზრდის გადახდისუნარობის რისკს.

შემდეგ ეტაპზე სასურველია წარმოდგენილ იქნეს ბუღალტრული ბალანსის მთლიანი (ვერტიკალური) სტრუქტურა.



საანალიზო საწარმოს ბუღალტრული ბალანსის

ვერტიკალური სტრუქტურა %-ად

ცხრილი 2

მაჩვენებლები	2016 წ		2017 წ		ხვ/წ-ის გადახრა
	ათ. ლ	%	ათ. ლ	%	
<b>აქტივები</b>					
- ფული და მისი ექვივალენტები	4 577	6.58	5 505	8.22	+ 0.51
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 585	3.71	1 067	1.6	- 0.12
- მარაგები	571	0.82	608	0.9	+ 0.08
- არამატ. აქტივები	308	0.44	215	0.32	- 2.11
- ძირითადი საშუალებები	61 544	88.45	59 548	88.96	+ 1.64
<b>სულ</b>	<b>69 585</b>	<b>100</b>	<b>66 943</b>	<b>100</b>	
<b>დაფინანსების წყაროები</b>					
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 090	3.01	2 278	3.4	+ 0.39
- მოკლევადიანი სესხები	9 221	13.25	16 422	24.53	+ 11.28
- საგადასახადო ანარიცხი	-	-	957	1.43	+ 1.43
- გრძელვადიანი სესხები	33 170	47.67	26 414	39.46	- 8.21
- დაგროვილი ზარალი	(31 701)	(45.56)	(36 199)	(54.07)	- 8.51
- დამფუძნებლებთან ოპერაციის რეზერვი	5 660	8.13	5 926	8.85	+ 0.72
- სააქციო კაპიტალი	51 145	73.5	51 145	76.4	+ 2.9
<b>სულ</b>	<b>69 585</b>	<b>100</b>	<b>66 943</b>	<b>100</b>	

ცხრილი 2-დან ჩანს, რომ აქტივებში ყველაზე მაღალ წილს იკავებს ძირითადი საშუალებები, შემდეგ კი მოდის ფულადი სახსრები 6.58 %-ით. აქტივების ასეთი სტრუქტურა განპირობებულია ფირმის საქმიანობის ტიპით. საანალიზო კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მომხმარებლებისთვის 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს მომსახურების სერვისის მიწოდება.

რაც შეეხება კომპანიის პასივებს, ძალიან მაღალია გრძელვადიანი ვალდებულებების წილი საანგარიშგებო წლის დასაწყისში, რომელიც 8.21 %-ით შემცირდა წლის ბოლოსთვის. მაღალია ასევე საკუთარი კაპიტალის წილი დაფინანსების წყაროების მიმართ, კერძოდ სააქციო კაპიტალის წილი 76.4 % შეადგინა 2017 წელს. პასივებში აღსანიშნავია დაგროვილი ზარალის არსებობა, 2016 წლის ბოლოსთვის იგი შეადგენდა 31 701 ათ. ლარს, 2017 წლის ბოლოსთვის კი ზარალი გაიზარდა 8.51 პროცენტული მაჩვენებლით, რაც უარყოფით მოვლენას წარმოადგენს კომპანიისთვის და დიდ ყურადღებას ითხოვს ფინანსური მენეჯმენტისგან. კერძოდ, საჭიროა მნიშვნელოვანი ზარალის გამომწვევი მიზეზების გამოვლენა და უფრო ეფექტური პოლიტიკის შემუშავება.

ბუღალტრული ბალანსის მთლიანი სტრუქტურული სურათის წარმოდგენის შემდეგ ხდება ცალკეული ელემენტების გამოკვლევა.

### სს-ის მიმდინარე აქტივების სტრუქტურა (%)

ცხრილი 3

მიმდინარე აქტივები	2016 წ		2017 წ	
	ათ. ლ	%	ათ. ლ	%
1. ფული და მისი ექვივალტები	4 577	59.19	5 505	76.67
2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 585	33.43	1 067	14.86
3. მარაგები	571	7.38	608	8.47
<b>ჯამი</b>	<b>7 733</b>	<b>100</b>	<b>7 180</b>	<b>100</b>

ცხრილიდან ჩანს, რომ მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა მოთხოვნების ნაშთების წილი და გაიზარდა ფულადი სახსრების წილი 17.48 %-ით.

სს-ის გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურა (%)

ცხრილი 4

გრძელვადიანი აქტივები	2016 წ		2017 წ	
	ათ. ლ	%	ათ. ლ	%
1. არამატერიალური აქტივები	308	0.5	215	0.36
2. ძირითადი საშუალებები	61 544	99.5	59 548	99.64
<b>ჯამი</b>	<b>61 852</b>	<b>100</b>	<b>59 763</b>	<b>100</b>

გრძელვადიანი აქტივების შემადგენლობაში უდიდესი წილი უკავია ძირითად საშუალებებს, რაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბუნებრივია მოცემული კომპანიისთვის მისი საქმიანობიდან გამომდინარე.

სს-ის მიმდინარე ვალდებულებების სტრუქტურა (%)

ცხრილი 5

მიმდინარე ვალდებულებები	2016 წ		2017 წ	
	ათ. ლ	%	ათ. ლ	%
1. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 090	18.48	2 278	11.59
2. სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	9 221	81.52	16 422	83.54
3. საგადასახადო ანარიცხი	-	-	957	4.87
<b>ჯამი</b>	<b>11 311</b>	<b>100</b>	<b>19 657</b>	<b>100</b>

მოცემული ცხრილის მიხედვით, მაღალია მოკლევადიანი სესხების წილი მიმდინარე ვალდებულებების მიმართ, რომელიც ოდნავ გაიზარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ამას დამატა საგადასახადო ანარიცხიც.

სს-ის საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა (%)

ცხრილი 6

საკუთარი კაპიტალი	2016 წ		2017 წ	
	ათ. ლ	%	ათ. ლ	%
1. დაგროვილი ზარალი	(31 701)	(126.28)	(36 199)	(173.43)
2. დამფუძნებლებთან ოპერაციის რეზერვი	5 660	22.55	5 926	28.39
3. სააქციო კაპიტალი	51 145	203.73	51 145	245.04
<b>ჯამი</b>	<b>25 104</b>	<b>100</b>	<b>20 872</b>	<b>100</b>

საკუთარი კაპიტალის ჯგუფის ძირითად წილს იკავებს სააქციო კაპიტალი, 2016 წლის ბოლოსთვის იგი შეადგენს 203.73 %-ს, ხოლო 2017 წლის ბოლოსთვის კი პროცენტული წილი იზრდება და 245.04 %-ს აღწევს. დადებით მოვლენას წარმოადგენს მოგებიდან შექმნილი რეზერვების წილის ზრდა, იგი წლის დასაწყისთან შედარებით 5.84 %-ით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, კაპიტალის 173.43 %-ს შეადგენს დაგროვილი ზარალი, რაც ძალიან დიდი მაჩვენებელია.

არსებობს რამდენიმე პირობა, რომლის დაცვის დროს საწარმოს ბალანსი ითვლება აბსოლუტურად ლიკვიდურად:

- ფული და მისი ექვივალენტები  $\geq$  ვადადამდგარი ვალდებულებები
- ფულის, მისი ექვ. და დებ. დავ. ჯამი  $\geq$  მოკლევადიანი ვალდებულებები
- მატერიალური მარაგები  $\geq$  ვალდებულებები მოწოდებიდან
- გრძელვადიანი აქტივები  $\geq$  გრძელვად. ვალდ. და საკუთარი კაპიტალის ჯამი

საანალიზო საწარმოს შემთხვევაში, სრულდება მხოლოდ ბოლო პირობა: 2016 წელს - გრძ. აქტივები (61 852) > პერმენენტული კაპიტალი (58 274), ხოლო 2017 წელს - გრძ. აქტივები (59 763) > პერმენენტული კაპიტალი (47 286).

ბალანსის ჰორიზონტალური ანალიზი საშუალებას გვაძლევს შესწავლილ იქნეს ბუღალტრული ბალანსის მუსხლების ცვლილების ტენდენციები დროში, ასევე დადგინდეს, დადებითი თუ უარყოფითი შედეგი გამოვლინდა. ანალიზისთვის აიღება ორი ან სამი პერიოდი, ეს შეიძლება იყოს კვარტლები ან წლები. ბალანსის დროითი

ანალიზის ფარგლებში ხდება მაჩვენებლების როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი მნიშვნელობების (გამოხატული პროცენტებში) შედარება.

ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი ერთმანეთს ავსებს და გამოიყენება ერთდროულად.

რადგანაც მაგალითისთვის გაგვაჩნია საანალიზო საწარმოს მხოლოდ ერთი წლის ფინანსური ანგარიშგება, საშუალება გვაქვს განვიხილოთ ორწლიანი პერიოდი.

### სს-ის ბალანსის მთავარი ელემენტების ცვლილება

2017 წლის დასაწყისთან შედარებით

ცხრილი 7

ბალანსის ელემენტები	წლის დასაწყისში	წლის ბოლოს	ცვლილება	
			ათ. ლ	%-ად
-გრძელვადიანი აქტივები	61 852	59 763	-2 089	-3.495
-მიმდინარე აქტივები	7 733	7 180	-553	-7.7
<b>სულ აქტივები</b>	<b>69 585</b>	<b>66 943</b>	<b>-2 642</b>	<b>-3.946</b>
-საკუთარი კაპიტალი	25 104	20 872	-4 232	-0.2
-ვალდებულებები	44 481	46 071	+1 590	+3.451

მოცემულ ცხრილში განიხილება ბალანსის მთავარი განაყოფების პროცენტული ცვლილება წლის დასაწყისთან შედარებით. მონაცემებიდან გამოიკვეთება შემდეგი უარყოფითი ტენდენციები: აქტივების მოცულობა წლის დასაწყისთან შედარებით 3.946 %-ით შემცირებულია, რაც უარყოფით მოვლენას წარმოადგენს. საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები სხვადასხვა მიმართულებით იცვლება: საკუთარი კაპიტალის შემცირების ტემპი 0.2 %, ხოლო ვალდებულებების ზრდის ტემპი კი 3.451 %-ს წარმოადგენს.

გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის ცნებები შინაარსობრივად ახლოა ერთმანეთთან, მაგრამ არაიდენტურია. საწარმოს საკმაოდ მაღალი გადახდისუნარიანობის პირობებში მისი ფინანსური მდგომარეობა ხასიათდება

როგორც მდგრადი. ამავე დროს, გადახდისუნარიანობის მაღალი დონე ყოველთვის არ ადასტურებს საბრუნავ აქტივებში სახსრების დაბანდების მომგებიანობას.

ანალიზის მოცემული ეტაპის მიზანია - შეფასებულ იქნეს საწარმოს უნარი, დაფაროს თავისი მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები. საჭიროა ლიკვიდურობის კოეფიციენტების გაანალიზება და მათ ნორმატიულ მნიშვნელობებთან შედარება.

ლიკვიდურობის კოეფიციენტების მაღალი მნიშვნელობები მიუთითებს საწარმოს სტაბილურ ფინანსურ მდგომარეობაზე, ხოლო დაბალი მნიშვნელობები კი - საჭირო მოცულობის ფულადი სახსრების არსებობის შესაძლო პრობლემებისა და შემდგომი საოპერაციო საქმიანობის სირთულეებზე.

### სს-ის ლიკვიდურობის კოეფიციენტები

ცხრილი 8

მაჩვენებლები	K <sub>2016</sub>	2017		ნორმა
		K	% ცვლ.	
აბსოლუტური ლიკვ. კოეფ.	0.41	0.28	-31.7	0.2 - 0.3
სწრაფი ლიკვ. კოეფ.	0.63	0.33	-47.62	0.7 - 1
საერთო ლიკვ. კოეფ.	0.68	0.37	-45.59	1.5 - 2.5

ცხრილიდან ჩანს, რომ 2016 წელს კოეფიციენტების მნიშვნელობები დადგენილი ნორმების მნიშვნელობებთან ახლოს იყო, გარდა საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტისა. თუმცა 2017 წელს აღენიშნება სერიოზული ვარდნა, კომპანიის გადახდისუნარიანობა დაბლა დაეცა, რაც არასასურველ მოვლენას წარმოადგენს.

2017 წელს აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი აკმაყოფილებს ნორმატიულ მნიშვნელობას, თუმცა სწრაფი და საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტების მნიშვნელობები საკმაოდ დაბალია, რაც მოსალოდნელიც იყო. მიმდინარე აქტივების მოცულობა შემცირდა, მოკლევადიანი ვალდებულებების ნაშთები კი გაიზარდა, რამაც ფინანსური მდგომარეობა დაამძიმა.

## 2.2 საანალიზო საწარმოს საქმიანი აქტივობის ანალიზის შედეგები

საქმიანი აქტიურობა (ან „ბრუნვა“) - მოქმედებათა სპექტრია, მიმართული საწარმოს განვითარებაზე. ბაზრის, საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტის გაფართოება, გაყიდვების გაზრდა, რესურსების მთელი ბაზის (ფინანსები, პერსონალი და ნედლეული) ეფექტიანი გამოყენება - ის ფაქტორებია, რომლებზეც დამოკიდებულია ნებისმიერი ორგანიზაციის საქმიანი აქტიურობის ზრდა.

საწარმოს საქმიანი აქტიურობა გამოიხატება ორგანიზაციის განვითარების დინამიურობასა და დასახული მიზნების მიღწევაში, რასაც ასახავს აბსოლუტური ღირებულებითი და ფარდობითი მაჩვენებლები.

საქმიანი აქტიურობის ანალიზი მდგომარეობს სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტის დონისა და დინამიკის გამოკვლევაში, კერძოდ შეისწავლება ბრუნვადობის მაჩვენებლები. ისინი კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ბრუნვის სიჩქარეზე დამოკიდებული წლიური ბრუნვის მოცულობა.

ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა, მისი გადახდისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, აქტივებში დაბანდებული სახსრები რამდენად სწრაფად გადაიქცევა ფულად სახსრებად. სახსრების ბრუნვის ხანგრძლივობაზე მოქმედებს სხვადასხვა შიდა და გარე ფაქტორი.

გარე ფაქტორებს მიეკუთვნება კომპანიის საქმიანობის სფერო, დარგი, საქმიანობის მასშტაბი, ინფლაციური პროცესების ზემოქმედება, პარტნიორებთან ურთიერთობების ხასიათი.

შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება აქტივების მართვის სტრატეგიის ეფექტიანობა, ორგანიზაციის ფასწარმოქმნის პოლიტიკა, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა და მარაგების შეფასების მეთოდოლოგია.

საწარმოს სამურნეო საქმიანობა შეიძლება დახასიათებულ იქნეს სხვადასვა მაჩვენებლით, რომელთა შორის შეიძლება გამოიყოს რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, შემოსავალი და საწარმოს აქტივების (ავანსირებული კაპიტალის) მოცულობა.

ძირითადი მაჩვენებლების დინამიკის შეფასებისას, საჭიროა განხილულ იქნეს შემდეგი პირობა:

**წლიური მოგების ტემპი > რეალიზაციის ტემპი > ავანსირებული კაპიტალის ტემპი > 100%**

ეს ოპტიმალური თანაფარდობა გულისხმობს იმას, რომ საწარმოს ეკონომიკური პოტენციალი იზრდება, რესურსები გამოიყენება ეფექტიანად, მოგების ზრდის ტემპი ხარჯების შემცირების ტემპზე მეტია. მოცემულმა დამოკიდებულებამ მსოფლიო პრაქტიკაში მიიღო „საწარმოს ეკონომიკის ოქროს წესი“-ს სახელი. მაგრამ, თუკი კომპანიის საქმიანობა საჭიროებს სახსრების მნიშვნელოვან დაბანდებას, რომელთა ამოღება და მოგების მიღება სავარაუდოა გრძელვადიან პერიოდში, მაშინ შესაძლოა დაირღვეს „ოქროს წესი“.

პრაქტიკაში დიდი ყურადღება ეთმობა საბრუნავი საშუალებების გამოყენების ინტენსივობის ანალიზს, რადგანაც მიმდინარე აქტივების ფულად საშუალებებად გადაქცევის სიჩქარეზეა დამოკიდებული საწარმოს ლიკვიდურობა და წარმატების შანსი.

საბრუნავი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის კრიტერიუმი შეიძლება იყოს ავანსირებული საბრუნავი საშუალებების მინიმიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს საქმიანობის მაქსიმალურად მაღალ საწარმოო და ფინანსურ შედეგებს.

ავანსირებული ღირებულების ბრუნვაობის დაჩქარება ნიშნავს საჭირო დროის ეკონომიასა და ბრუნვიდან თავისუფალი სახსრების გამოთავისუფლებას. ეს ხელს უწყობს ფირმას წარმოების მოცულობისა და წარმოებადი პროდუქციის ხარისხის გაზრდას.

კაპიტალის ბრუნვაობა - ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომელიც ახასიათებს საწარმოს კაპიტალის გამოყენების ინტენსივობას. ანალიზის პროცესში შესწავლილ უნდა იქნეს კაპიტალის ბრუნვაობის მაჩვენებლები, ასევე გამოვლინდეს ძირითადი ფაქტორების ზემოქმედება.

საბრუნავი საშუალებების ბრუნვაობის შესასწავლად გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:



1. ბრუნვის პერიოდი დღეებში - აჩვენებს, რამდენი დღე სჭირდება ავანსირებული ღირებულების ერთ შემობრუნებას.

*ბრუნვის პერიოდი დღეებში = (მიმდ. აქტივების საშ. წლ.*

*ნაშთი/შემ.რეალიზაციიდან)\*365*

2. ბრუნვადობის კოეფიციენტი (ბრუნვის რიცხვი ჯერებში) - აჩვენებს ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვს შესასწავლ პერიოდში.

*ბრუნვადობის კოეფიციენტი = შემ. რეალიზაციიდან/მიმდ. აქტივების საშ. წლ. ნაშთი*

3. დამაგრების კოეფიციენტი - საბრუნავი საშუალებების მოცულობა, რომელიც მოდის რეალიზებული პროდუქციის ერთ ლარზე.

*დამაგრების კოეფიციენტი = მიმდ. აქტივების საშ. წლ. ნაშთი/შემ. რეალიზაციიდან*

ბრუნვადობის მაჩვენებლები შეიძლება გამოთვლილ იქნეს როგორც ყველა მიმდინარე აქტივის, ასევე ცალ-ცალკე მუხლების მიმართაც: ნედლეული და მასალა, დებიტორული დავალიანებები და ა.შ. თუ საბრუნავი საშუალებების ბრუნვის პერიოდი საანგარიშგებო წელს ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, ეს მიუთითებს ავანსირებული ღირებულების ბრუნვის დაჩქარებაზე და შესაბამისად, მათი ეფექტიან გამოყენებაზე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში იზრდება ბრუნვადობის კერძო მაჩვენებლების გამოთვლისა და ანალიზის შესაძლებლობა და მნიშვნელობა. ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ ყველა მიმდინარე აქტივის ბრუნვის სიჩქარე დამოკიდებულია იმაზე, თუ მისი თითოეული ელემენტი რა სიჩქარით გადადის ერთი ფუნქციონალური ფორმიდან მეორეში. რაც უფრო მაღალია მარაგების რეალიზაციის სიჩქარე, მით უფრო ლიკვიდური ხდება ბალანსის სტრუქტურა. საწარმოს საქმიანი აქტიურობაზე დადებითად მოქმედებს დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდის შემცირება. ასეთი ანალიზის შედეგად ვლინდება, გარკვეულ პერიოდში რამდენჯერ ხდებოდა მიმდინარე აქტივებში დაბანდებული კაპიტალის ამოღება საქონლისა და მომსახურების

რეალიზაციის დროს. აღნიშნული მაჩვენებლების გამოსათვლელად საჭირო ინფორმაცია აიღება ბალანსიდან და მოგება/ზარალის ანგარიშებიდან.

საანალიზო საწარმოს სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“-ს მონაცემების საფუძველზე გაკეთდა შემდეგი გამოთვლები:

### *საბრუნავი კაპიტალის ბრუნვაობის ზოგადი მაჩვენებლები*

1. ბრუნვის რიცხვი ჯერებში

$$K = \frac{12100}{7457} = 1.623$$

2. ბრუნვის პერიოდი დღეებში

$$K = \frac{7457}{12100} \times 365 = 224.9$$

3. დამაგრების კოეფიციენტი

$$K = \frac{7457}{12100} = 0.616$$

4. დებიტორული დავალიანების ბრუნვის ანუ ინკასაციის პერიოდი

$$K = \frac{1826}{12100} \times 365 = 55.08$$

5. ინკასაციის (დაფარვის) რიცხვი

$$K = \frac{12100}{1826} = 6.63$$

ავანსირებული ღირებულება წელიწადში 1.6-ჯერ შემობრუნდება, სააქციო საზოგადოებამ 2017 წლის განმავლობაში ამოიღო მიმდინარე აქტივების 1.6-ჯერ მეტი - 12100 ათ.ლ. ავანსირებული ღირებულების ერთ შემობრუნებას სჭირდება დაახლოებით 225 დღე. ეს იმას ნიშნავს, რომ 225 დღეში კომპანია იღებს თავისი მიმდინარე აქტივების ღირებულების ტოლ შემოსავალს. საანგარიშგებო წლის განმავლობაში შემოსავლის ყოველ ერთ ლარზე მოდიოდა საბრუნავი აქტივების 0.6 ლარი. საწარმოს

დებიტორებისგან კუთვნილი თანხების მისაღებად სჭირდება თითქმის ორი თვე, ხოლო წელიწადში 6.6-ჯერ ამოიღებს დებიტორულ დავალიანებებს.

## 2.3 საანალიზო საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ანალიზის შედეგები

ფინანსური სტაბილურობა - ეს არის საწარმოს მატერიალური მდგომარეობა, რომლის პირობებშიც მას შეუძლია საქმიანობის თავისუფლად, უწყვეტად წარმოება; საწარმო ფინანსურად მდგრადია, თუკი უზრუნველყოფილია საკუთარი საბრუნავი თუ გრძელვადიანი სახსრებით. სტაბილურობა გულისხმობს არა მხოლოდ ფირმის უნარს, უზრუნველყოს წარმოების პროცესი ფულადი სახსრებით, არამედ დროულად დაფაროს სასესხო თუ სხვა ვალდებულებები.

მდგრადი ფინანსური მდგომარეობა განპირობებულია როგორც ეკონომიკური გარემოს სტაბილურობით, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება საწარმოს საქმიანობა, ასევე თვით კომპანიის ფუნქციონირების შედეგებით, მისი დროული და აქტიური რეაგირებით შიგა და გარე ფაქტორების ცვლილებაზე.

საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ანალიზის მთავარ მიზანს წარმოადგენს ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხის შეფასება. ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლებად შეიძლება განვიხილოთ და გამოვიყენოთ კოეფიციენტები, რომლებიც ახასიათებენ ბალანსის აქტივებისა და პასივების სტრუქტურას, ასევე თანაფარდობას აქტივებისა და პასივების ცალკეულ მუხლს შორის (ფინანსური სტაბილურობის შეფარდებითი მაჩვენებლები).

*ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელი (ინგლ. - Equity to Debt Ratio) -* საკუთარი კაპიტალის ფარდობა ვალდებულებებთან, ფინანსური მდგრადობის ინდიკატორია, რომელიც მიუთითებს საწარმოს უნარზე, დროულად დაფაროს ვალდებულებები მოკლე- თუ გრძელვადიან პერიოდში. მაჩვენებლის მნიშვნელობა გვაჩვენებს, საკუთარი კაპიტალის რამდენი ლარი მოდის კომპანიის ვალდებულებათა ერთ ლარზე. მაღალი მნიშვნელობა მიუთითებს ფინანსური რისკის დაბალ დონეზე.

მაჩვენებლის დაბალი მნიშვნელობა აუცილებლად არ ნიშნავს გაკოტრების მაღალ რისკს. მაგალითად, თუკი საწარმოს ფინანსური რესურსების 80 %-ს ვალდებულებები შეადგენს, მაგრამ საწარმოს სტაბილურად შეუძლია ფულადი ნაკადების გენერირება მოახდინოს, მაშინ კომპანია შეძლებს დაფაროს თავისი ვალდებულებები და მინიმუმამდე დაიყვანოს გაკოტრების რისკი. ეკონომიკური ციკლების სტადიებმა, ტექნიკური განვითარების დონემ, კონკურენტთა აქტიურმა ქმედებებმა,

მომხმარებლების გემოვნების ცვლილებამ - ყველაფერმა ამან შეიძლება შეცვალოს საბაზრო სიტუაცია.

გაყიდვების მოცულობის დაცემა გამოიწვევს ფულადი ნაკადების შემცირებას. ამ შემთხვევაში, ფინანსური სტაბილურობის დაბალი მნიშვნელობა სწორედ გაკოტრების მანიშნებელი იქნება, იმ დროს, როცა კომპანიები მაჩვენებლის ნორმატიული მნიშვნელობით და საკუთარი კაპიტალის მაღალი წილით შეძლებენ საქმიანობის წარმართვას. უმეტესად, ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლის დაბალი მნიშვნელობა შესაძლო გაკოტრების მანიშნებელია გრძელვადიან პერიოდში. და პირიქით, მაჩვენებლის მაღალი მნიშვნელობა შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ კომპანია სრულად ვერ იყენებს მის პოტენციალს.

საკრედიტო კაპიტალი ხელს უწყობს წარმოებისა და გაყიდვების ზრდას. თუ ფინანსური ლევერიჯის ეფექტი დადებითია, მაშინ დამატებითი სახსრების მოზიდვა არის სასურველი.

**ნორმატიული მნიშვნელობა**

ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლის ნორმატიული მნიშვნელობა მოთავსებულია 0,67-1,5 შუალედში. 0,67-ზე ნაკლები მნიშვნელობა მიანიშნებს ფინანსური რისკების არსებობაზე, 1,5-ზე მეტი მნიშვნელობა კი მიუთითებს ეფექტიანობის ამაღლების დამატებითი რეზერვების არსებობაზე.

უცხოური ლიტერატურის მიხედვით, მიჩნეულია ნორმატიულად შემდეგი მნიშვნელობები:

<i>მაჩვენებელი</i>	<i>სოფლის მეურნეობა</i>	<i>კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობა</i>	<i>შუამავლები, საცალოდ და ბითუმად მოვაჭრეები</i>	<i>სხვა</i>
<i>ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტი</i>	≥ 1	≥ 1	≥ 0,43	≥ 1

\*წყარო: [www.audit-it.ru/finanaliz](http://www.audit-it.ru/finanaliz)

ისევე როგორც ფინანსური ავტონომიის მაჩვენებლის შემთხვევაში, ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტის გაზრდისათვის საჭიროა მესაკუთრეთა ან ინვესტორთა სახსრების მოზიდვა, მოგების რეინვესტირება და ა.შ.

ბოლო პერიოდში, კომპანიათა ფინანსური სტაბილურობის დაცემისა და მოზიდულ კაპიტალზე დამოკიდებულების ზრდის ტენდენცია ჩამოყალიბდა. ეკონომიკური ზრდის პირობებში, კრედიტორები უფრო აქტიურად აფინანსებენ მსესხებლებს.

### **ფორმულა**

*ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელი = საკუთარი კაპიტალი / (მოკლევადიანი ვალდებულებები + გრძელვადიანი ვალდებულებები) (4.1)*

ფინანსური სტაბილურობის შედარებით მარტივი კოეფიციენტები ახასიათებენ თანაფარდობას აქტივებსა და ვალდებულებებს შორის მთლიანობაში, მათი სტრუქტურის გაუთვალისწინებლად. მოცემული ჯგუფის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებელს წარმოადგენს *ავტონომიის კოეფიციენტი (სხვანაირად, ფინანსური დამოუკიდებლობის, ან საკუთარი კაპიტალის აქტივებში კონცენტრაციის კოეფიციენტი)*.

ავტონომიურობის კოეფიციენტი ახასიათებს დამოუკიდებლობას მოზიდული სახსრებისგან, აჩვენებს საკუთარი კაპიტალის წილს საწარმოს ყველა აქტივის მთლიან ღირებულებაში. რაც უფრო მაღალია ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა, მით უფრო მდგრადია, სტაბილურია და ფინანსურად დამოუკიდებელია საწარმო გარე კრედიტორებისგან :

*ავტონომიურობის (დამოუკიდებლობის) კოეფიციენტი = საკუთარი კაპიტალი / აქტივები (4.2)*

მაჩვენებლის ნორმატიულ მნიშვნელობად მიჩნეულია 0,5-0,7 შუალედი, თუმცა ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა დამოკიდებულია დარგის სპეციფიკაზე. რაც უფრო მაღალია საწარმოს არასაბრუნავი აქტივების წილი, მით უფრო მეტი გრძელვადიანი სახსრებია საჭირო მათი დაფინანსებისთვის, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეტი უნდა იყოს საკუთარი კაპიტალის წილი.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში გავრცელებულია მაჩვენებელი debt ratio (ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი), რომელიც არსობრივად საპირისპიროა ავტონომიის კოეფიციენტის, მაგრამ ასევე გამოხატავს თანაფარდობას საკუთარ

კაპიტალსა და მოზიდულ კაპიტალს შორის. ამერიკასა და ევროპულ ქვეყნებში ავტონომიის კოეფიციენტის საკმაოდ მაღალ დონედ მიჩნეულია 0,5-0,6. ამასთან, ვალდებულებათა ჯამი არ აღემატება საკუთარი სახსრების სიდიდეს, რაც მისაღებია კრედიტორებისთვის. აზიის ქვეყნებში საკმარისად მიიჩნევა 0,3 მნიშვნელობა. ამ მაჩვენებელს ასევე განიხილავენ დინამიკაში, მნიშვნელობის შემცირება მიუთითებს რისკის ზრდაზე და ფინანსური მდგომარეობის გაუარესებაზე. ამასთან, ვალდებულებათა წილის ზრდა იწვევს არა მხოლოდ მათი ვერ დაფარვის რისკი, არამედ იზრდება საპროცენტო ხარჯები და საწარმო დამოკიდებული ხდება საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე.

*ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი* - ახასიათებს დამოკიდებულებას ფინანსირების გარე წყაროებზე, ე.ი რა წილს იკავებს მოზიდული სახსრები კაპიტალის მთლიან სტრუქტურაში. ეს მაჩვენებელი ფართოდ გამოიყენება დასავლეთში.

$$\text{ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი} = \text{ვალდებულებები} / \text{აქტივები} \quad (4.3)$$

მოცემული მაჩვენებელი სასურ

ველია იყოს 0,8-ზე ნაკლები. ოპტიმალურია 0,5 მნიშვნელობა, ე.ი საკუთარი და მოზიდული კაპიტალის თანაბარი წილი.  $k \leq 0.8$  გულისხმობს, რომ ვალდებულებები უნდა იკავებდეს 80%-ზე ნაკლებს კაპიტალის სტრუქტურაში.

*მოზიდული და საკუთარი სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი*

ეს კოეფიციენტი იძლევა ფინანსური სტაბილურობის საერთო შეფასებას, გვაჩვენებს, მოზიდული სახსრების რამდენი ერთეული მოდის საკუთარი სახსრების ერთ ერთეულზე.

$$k = \text{მოზიდული კაპიტალი} / \text{საკუთარი კაპიტალი} \quad (4.4)$$

დინამიკაში ამ კოეფიციენტის ზრდა ნიშნავს კომპანიის დამოკიდებულების ზრდა კრედიტორებსა და ინვესტორებზე. რეკომენდირებულია მნიშვნელობა  $k < 0,7$ . ოპტიმალური თანაფარდობაა  $0,5 < k < 0,7$ . თუკი კოეფიციენტის მნიშვნელობა 0,7-ზე მეტია, საწარმოს ფინანსური სტაბილურობის საკითხი ეჭვის ქვეშაა. რაც უფრო მაღალია აღნიშნული მაჩვენებელი, მით მეტია ინვესტორთა რისკი, რადგანაც ვალდებულებათა გადაუხდელობის შემთხვევაში იზრდება გაკოტრების შანსი.

*საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი*

აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს, საკუთარი საბრუნავი კაპიტალის რომელი ნაწილი იმყოფება ბრუნვაში. ეს კოეფიციენტი უნდა იყოს საკმარისად მაღალი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საკუთარი სახსრების გამოყენების მოქნილობა:

$$\text{მანევრირების კოეფიციენტი} = \text{საკუთარი საბრუნავი საშუალებები} / \text{საკუთარი კაპიტალი} \quad (4.5)$$

კოეფიციენტის უცარი ზრდა ვერ მიუთითებს საწარმოს ნორმალურ ფუნქციონირებაზე, რადგანაც ამ მაჩვენებლის ზრდა შესაძლებელია სსს-ის ზრდის შემთხვევაში, ან დაფინანსების საკუთარი წყაროების შემცირებით. მაჩვენებლის რეკომენდირებული მნიშვნელობაა 0,2-0,5.

*საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების საკუთარი წყაროებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი*

კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენადაა უზრუნველყოფილი საწარმო საკუთარი სახსრებით, რომელიც საჭიროა ფინანსური სტაბილურობისთვის:

$$\text{საბრუნავი კაპიტალის უზრუნველყოფის კოეფიციენტი} = (\text{საკუთარი კაპიტალი} - \text{ძირითადი აქტივები}) / \text{მიმდინარე აქტივები} \quad (4.6)$$

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საწარმო უზრუნველყოფილია მხოლოდ საკუთარი სახსრებით, როდესაც კოეფიციენტის მნიშვნელობა მეტია ან ტოლია ერთის.

*მატერიალური მარაგების უზრუნველყოფის კოეფიციენტი* - არის მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს მარაგების დაფინანსების დონეს საწარმოს საკუთარი სახსრებით:

$$\text{მარაგების საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი} = \text{საკუთარი საბრუნავი საშუალებები} / \text{მატერიალური მარაგები} \quad (4.7)$$

პრაქტიკაში ასევე გვხვდება კოეფიციენტის გამოთვლის მოდიფიცირებული მეთოდიკა, რომლის მიხედვითაც მარაგებს ემატება ასევე დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები და მომწოდებლებზე გაცემული ავანსები:

$$\text{მარაგების უზრუნველყოფა საკუთარი სახსრებით} = (\text{საკუთარი კაპიტალი} + \text{გრძელვადიანი აქტივები} - \text{ძირითადი აქტივები}) / (\text{მარაგები} + \text{დაუმთავრებელი მშენებლობა} + \text{გაცემული ავანსები}) \quad (4.8)$$



კოეფიციენტის ნორმატიული მნიშვნელობა მოთავსებულია 0,6 – 0,8 დიაპაზონში. ე.ი მარაგების 60-80 %-ის ფორმირება უნდა ხდებოდეს საკუთარი სახსრების ხარჯზე. რაც მეტია კოეფიციენტის მნიშვნელობა, მით ნაკლებია მოზიდულ კაპიტალზე დამოკიდებულების დონე, შესაბამისად, მაღალია საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ხარისხი.

#### *საკუთარი კაპიტალის შენარჩუნების კოეფიციენტი*

მაჩვენებელი აჩვენებს საკუთარი კაპიტალის დინამიკას. იგი გამოითვლება როგორც ფარდობა საკუთარი კაპიტალის ნაშთებს შორის, შესაბამისად, პერიოდის ბოლოს და პერიოდის დასაწყისში აღებული. ოპტიმალური მნიშვნელობაა  $k \geq 1$ .

აღსანიშნავია, რომ ეს კოეფიციენტი, ფინანსური სტაბილურობის სხვა კოეფიციენტებისგან განსხვავებით, არ არის სტრუქტურული, არამედ დინამიკურია, ამიტომ მისი მნიშვნელობა შეიძლება შეესაბამებოდეს სასურველ დონეს, ფინანსური მდგომარეობის გაუარესების პირობებშიც კი.

*კაპიტალიზაციის კოეფიციენტი (Capitalization ratio)* - არის მაჩვენებელი, რომელიც ადარებს გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანების სიდიდეს გრძელვადიანი ფინანსირების ერთობლივ წყაროებთან. კაპიტალიზაციის კოეფიციენტი შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს საწარმოს საქმიანობის დაფინანსების წყაროების საკმარისობა საკუთარი კაპიტალის ფორმით.

კაპიტალიზაციის კოეფიციენტი შედის ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებელთა ჯგუფში. აღნიშნული მაჩვენებლები ახასიათებენ საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობას.

ეს კოეფიციენტი საშუალებას იძლევა შეფასდეს ფინანსური რისკი. რაც მეტია კოეფიციენტის მნიშვნელობა, მით მეტადაა დამოკიდებული კომპანია მოზიდულ სახსრებზე და მით უფრო დაბალია ფინანსური სტაბილურობა. პირიქით, კოეფიციენტის დაბალი მნიშვნელობა მიუთითებს ფინანსურ დამოუკიდებლობაზე. სხვანაირად, მაღალია საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა.

*კაპიტალიზაციის კოეფიციენტი = გრძელვადიანი ვალდებულებები / (გრძელვადიანი ვალდებულებები + საკუთარი კაპიტალი) (4.9)*

აღნიშნულ კოეფიციენტს არ გააჩნია ნორმატიული მნიშვნელობა, რადგანაც დამოკიდებულია დარგზე, ასევე კომპანიის მუშაობის ტექნოლოგიაზე. თუმცა, ინვესტორებისთვის მიმზიდველია ისეთი კომპანიები, სადაც საკუთარი კაპიტალი სჭარბობს მოზიდულს.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტანდარტული მეთოდის გამოყენების გარდა, პრაქტიკაში მიღებულია ასევე სხვა მაჩვენებლების გამოთვლაც, როგორცაა :

- ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებების წილი პასივებში
- დებიტორული დავალიანების თანაფარდობა საერთო აქტივებთან

ამასთან, დებიტორული დავალიანების შემადგენლობაში გაითვალისწინება არა მხოლოდ მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოთხოვნები ბალანსით, არამედ უიმედო მოთხოვნებიც და გაცემული გარანტიებიც. ინფორმაცია ამ აქტივების შესახებ მოცემულია დანართში, რომელიც ანგარიშგების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. იგულისხმება, რომ ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში, შესაძლებელია დებიტორებმა დაფარონ მოთხოვნები და შემოსული თანხები გამოიყენოს ვალდებულებათა დასაფარავად.

ფინანსური სტაბილურობის ანალიზი ამა თუ იმ თარიღისთვის, საშუალებას იძლევა გამოვავლინდეს, რამდენად სწორად მართავდა ფინანსური რესურსებს საწარმო პერიოდის განმავლობაში. მთავარია, რომ ფინანსური რესურსების მდგომარეობა შეესაბამებოდეს საბაზრო მოთხოვნებს, პასუხობდეს გამოწვევებს, რადგანაც არასტაბილური მდგომარეობა გამოიწვევს გადახდისუნარიობას, ხოლო „ჭარბი ფინანსური სტაბილურობა“ კი შეაფერხებს კომპანიის განვითარების შესაძლებლობას, რადგანაც საწარმოში ჭარბად იქნება მარაგები და რეზერვები. ამგვარად, ფინანსური სტაბილურობის არსი გამოიხატება ფინანსური რესურსების ეფექტიანი ფორმირებით, განაწილებითა და გამოყენებით.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა ითვლება სტაბილურად, თუ ის ფარავს საკუთარი სახსრებით ფინანსური რესურსების ნახევარს მაინც, ეფექტიანად იყენებს რესურსებს, იცავს ფინანსურს, საკრედიტო დისციპლინას, სხვა სიტყვებით, არის გადახდისუნარიანი.

ფინანსური მდგომარეობა განისაზღვრება ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის ანალიზის საფუძველზე, ასევე ფინანსური სტაბილურობის შეფასებით. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზს ატარებენ არა მხოლოდ კოეფიციენტების მეთოდით, არამედ წმინდა აქტივებისა და აბსოლუტურ მაჩვენებელთა ანალიზის მეშვეობითაც.

*ფინანსური სტაბილურობის ტიპი* - საწარმოს უნარის ხარისხი, განვითარდეს უპირატესად დაფინანსების საკუთარი წყაროების ხარჯზე.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის დასახასიათებლად არსებობს ფინანსური სტაბილურობის ოთხი ტიპი:

1. *აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობა*. ასეთი ტიპი ხასიათდება იმით, რომ საწარმოს მთლიანი მარაგი იფარება საკუთარი საბრუნავი სახსრებით, ე.ი კომპანია არაა დამოკიდებული კრედიტორებზე, მიღებულია, რომ საკუთარი საბრუნავი სახსრების წილი მატერიალურ მარაგებში 50%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. ასეთი სიტუაცია გვხვდება საკმაოდ იშვიათად. აღნიშნული ტიპი გამოიხატება შემდეგი უტოლობით:

**მატერიალური მარაგები < საკუთარი საბრუნავი სახსრები**

2. *ნორმალური ფინანსური სტაბილურობა*. ამ შემთხვევაში საწარმო გარდა საკუთარი საბრუნავი სახსრებისა, მარაგების დასაფარად იყენებს ასევე გრძელვადიან მოზიდულ სახსრებს. ასეთი ტიპის დროს ადგილი აქვს შემდეგ უტოლობას:

**საკ. საბრ. სახსრები < მატერ. მარაგები < მარაგების დაფინანსების „ნორმალური“**

**წყაროები**

3. *არამყარი ფინანსური მდგომარეობა* - ხასიათდება გადახდისუნარიანობის დარღვევით, თუმცა არის საშუალება წონასწორობის აღდგენა, მაგალითად, დებიტორული დავალიანებების შემცირების ან მარაგების ბრუნვადობის დაჩქარების მეშვეობით. არამდგრადი ფინანსური მდგომარეობა გამოიხატება უტოლობით:

**მატერიალური მარაგები > მარაგების დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები**

4. კრიტიკული ფინანსური მდგომარეობა - საწარმო იმყოფება გაკოტრების პირას, რადგანაც ფულადი სახსრები, მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება ვერ ფარავს კომპანიის კრედიტორულ დავალიანებასაც კი.

ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლებს ანგარიშობენ იმისათვის, რომ განისაზღვროს საწარმოს აქტივების მდგომარეობა და სტრუქტურა და დაფინანსების წყაროებით მათი უზრუნველყოფის დონე. ეს მაჩვენებლები საშუალებას იძლევა შეფასდეს ინვესტორთა და კრედიტორთა დაცულობის ხარისხი, რადგანაც ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები ასახავენ კომპანიის უნარს, დაფაროს გრძელვადიანი ვალდებულებები.

ანალიზის მიზანია - საწარმოს დამოკიდებულების ხარისხის განსაზღვრა დაფინანსების მოზიდული წყაროების მიმართ; მოზიდული სახსრების გამოყენების ინტენსივობის შეფასება; საწარმოს გრძელვადიანი მდგრადობის დონის შეფასება.

საანალიზო საწარმოს ბუღალტრული ბალანსის მონაცემებიდან გამომდინარე ვიღებთ კოეფიციენტების შემდეგ მნიშვნელობებს:

**სს-ის ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები**

**ცხრილი 9**

მაჩვენებლები	K <sub>2016</sub>	2017		ნორმა
		K	% ცვლ.	
ფინ. სტაბილურობის მაჩვ.	0.56	0.45	-19.64	0.67 – 1.5
ავტონომიის (დამოუკ.) კოეფ.	0.36	0.31	-13.89	0.5 - 0.7
ფინანსური დამოკიდ. კოეფ.	0.64	0.69	+7.81	0.5 – 0.8
მოზიდული და საკუთარი სახსრების თანაფარდობის კოეფ.	1.77	2.21	+24.86	0.5 – 0.7
საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფ.	-0.14	-0.6	-328.57	0.2 – 0.5
საბრუნავი კაპიტალის უზრუნველყოფის კოეფ.	-4.75	-5.42	-14.11	K>0.1
მარაგების უზრუნველყოფა საკუთარი სახსრებით	-6.27	-20.52	-227.27	0.6 - 0.8

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, რომ გამოთვლილი სტაბილურობის კოეფიციენტები გაუარესდა, რაც უარყოფით მოვლენას საწარმოსთვის. კოეფიციენტებიდან მხოლოდ ფინანსური დამოკიდებულების მაჩვენებელი აკმაყოფილებს ნორმატიულ მნიშვნელობას. აღსანიშნავია, რომ ფინანსური სტაბილურობის სამი კოეფიციენტი - საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი, საბრუნავი კაპიტალის უზრუნველყოფის კოეფიციენტი და მარაგების უზრუნველყოფის კოეფიციენტი უარყოფითი მნიშვნელობისაა.

მანევრირების კოეფიციენტის უარყოფითი მნიშვნელობა ნიშნავს დაბალ ფინანსურ მდგრადობას იმის გათვალისწინებით, რომ სახსრები დაბანდებულია რთულად რეალიზებად აქტივებში (ძირითადი საშუალებები), ხოლო საბრუნავი კაპიტალი კი ჩამოყალიბდა მოზიდული სახსრების ხარჯზე. იგივე შეიძლება ითქვას დანარჩენ ორ კოეფიციენტზე - საბრუნავი სახსრების მთლიანი მოცულობა და ნაწილობრივ, არასაბრუნავი აქტივების ნაწილი ჩამოყალიბდა მოზიდული წყაროების ხარჯზე.

საჭიროა გამოვლინდეს მნიშვნელოვანი ფაქტორები და კომპანია გახდეს მეტად უზრუნველყოფილი საკუთარი საბრუნავი აქტივებით.

### **საკუთარი კაპიტალის შენარჩუნების კოეფიციენტი**

$K = \text{საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს} / \text{საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში}$

ჩვენს მაგალითზე,  $K=0.83$ . იგი ნაკლებია ერთზე, რაც განპირობებულია იმით, რომ საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს შემცირდა 4 232 ათ.ლარით და შეადგინა 20 872 ათ.ლარი.

## თავი 3. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირების მეთოდოლოგია

### 3.1 მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების პროგნოზირება

სამეწარმეო საქმიანობა არის ისეთი საქმიანობა, რომელიც არის დაკავშირებული ფულადის სახსრების ჩადებასა და მის ამოღებასთან. სახსრების დაბანდება ხორციელდება დღეს, ხოლო შემოსავლების ამოღება ხდება მომავალში. იმისათვის, რომ შევაფასოთ შემოსავლების მოსალოდნელი მოცულობა და დაბანდებათა ეფექტურობა, უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ მოქმედებათა თანმიმდევრობა და შესაძლო შედეგები, არამედ საწარმოს მომავალი ფინანსური მდგომარეობა და გარე ფაქტორები, მათ შორის, საქონლის ბაზარზე გატანისა და რეალიზაციის პირობები და კონკურენტების ქცევა.

საწარმოსა და მისი გარემოს მომავალი მდგომარეობის განსაზღვრა ჩამოყალიბებულ ტენდენციების საფუძველზე არის პროგნოზირება.

**საწარმოს საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირება ხორციელდება შემდეგი მიზნებით:**

- ეკონომიკური და ფინანსური პერსპექტივების, სავარაუდო ფინანსური მდგომარეობის შეფასება გარკვეული პერიოდისთვის
- რეკომენდაციების ფორმირებისთვის მმართველების მიერ რაციონალური სტრატეგიისა და მოქმედებათა ტაქტიკის არჩევის მიმართ

სტრატეგიულ და ტაქტიკურ გადაწყვეტილებებს შორის შეიძლება იყოს კომპანიის წარმოებისა და რეალიზაციის პროგრამა დაგეგმილი პერიოდისთვის, აქტივების დაგეგმილი სტრუქტურა, მათ შორის, საბრუნავი აქტივების სტრუქტურა, ასევე ამა თუ იმ საინვესტიციო პროექტის რეალიზების შესაძლებლობა.

პროგნოზირების პერიოდი შეიძლება იყოს ნებისმიერი: ერთი თვიდან ორმოცდაათ წლამდე. პერიოდის არჩევა დამოკიდებულია პროგნოზირების მიზნებზე, ასევე ინფორმაციის საიმედოობასა და სისრულეზე. ბუნებრივია, არ აქვს კვლევის ჩატარებას მაშინ, როდესაც ზოგიერთი მონაცემის ცდომილება აღემატება 15-20%-ს.

საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე ძირითადი ფაქტორების შესაძლო ცვლილებების გავლენის შეფასებისთვის პროგნოზული გათვლების წარმოება მიზანშეწონილია რამდენიმე ვარიანტად სხვადასხვა ცვლადის პირობებში.

**პრაქტიკაში მიღებულია მომავლის შეფასება სამ ვარიანტში: პესიმისტური, ოპტიმისტური და რეალისტურ ვარიანტებად.**

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში გავრცელებულია ფინანსების მართვის ფორმალიზებული მოდელების გამოყენება. ფორმალიზაციის ხარისხი დამოკიდებულია საწარმოს მასშტაბზე: რაც უფრო მსხვილია ფირმა, მით უფრო მეტად უნდა იყენებდეს მისი ხელმძღვანელობა მოცემულ მიდგომებს ფინანსურ პოლიტიკაში.

დასავლეთში დაახლოებით მსხვილი კომპანიების 50% და პატარა კომპანიების 18% ორიენტირდება ფორმალიზებულ რაოდენობრივ მეთოდებზე ფინანსური რესურსების მართვასა და საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზში. ქვემოთ მოცემულია პროგნოზირების რაოდენობრივი მეთოდების კლასიფიკაცია.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირება ეფუძნება წარსული პერიოდისთვის ფინანსური საქმიანობისა და მომავალში შიდა თუ გარე პირობების ცვლილებების შესწავლას.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ორი მიმართულებით:

- ერთი ან რამდენიმე მაჩვენებლის პროგნოზი, რომელიც ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს ანალიტიკოსში, მაგალითად: შემოსავალი რეალიზაციიდან, მოგება, პროდუქციის თვითღირებულება და ა.შ
- საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ცხრილის ფორმის პროგნოზი. წარსული მონაცემების საფუძველზე ხდება ბალანსის თუ მოგება/ზარალის თითოეული მუხლის პროგნოზი. ამ შემთხვევაში ანალიტიკოსი იღებს მაქსიმალურ ინფორმაციას, რომელსაც ის გამოიყენებს სხვადასხვა მიზნით, მაგალითად, საწარმოო საქმიანობის დასაშვები ზრდის ტემპის განსაზღვრისთვის.

მეორე მიმართულება, თავის მხრივ, მოიცავს ორ მიდგომას: პირველი მიდგომის თანახმად, ბალანსისა და მოგება/ზარალის ანგარიშგების თითოეული მუხლის

პროგნოზირება ხდება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, მისი ინდივიდუალური დინამიკიდან გამომდინარე; მეორე მიდგომა ითვალისწინებს კავშირს ცალკეულ მუხლებს შორის როგორც ანგარიშგების ერთი ფორმის, ასევე სხვადასხვა ფორმის ფარგლებში. ბუნებრივია, ანგარიშგების სხვადასხვა მუხლი უნდა იცვლებოდეს დინამიკაში შეთანხმებულად, რადგანაც ისინი ახასიათებენ ერთსა და იმავე ეკონომიკურ სისტემას.

*ექსპერტული შეფასების მეთოდი* გულისხმობს ექსპერტთა მრავალსაფეხურებრივ გამოკითხვას სპეციალური სქემების მიხედვით და შედეგების დამუშავებას ეკონომიკური სტატისტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით. პრაქტიკაში ასეთი მეთოდების გამოყენება ძირითადად ეფუძნება კომერციული, საფინანსო თუ სხვა მიმართულების მენეჯერების ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებას. როგორც წესი, ეს უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღებას უფრო სწრაფი და მარტივი ხერხით. ამ მეთოდის ნაკლს წარმოადგენს პროგნოზირების დაბალი სიზუსტე და პერსონალური პასუხისმგებლობის არარსებობა გაკეთებულ დასკვნაზე. ექსპერტული შეფასებები უმეტესად გამოიყენება შემოსავლების, მოგების ან საბაზრო წილის მნიშვნელობების პროგნოზირებისთვის.

*დეტერმინირებული მეთოდები* გულისხმობს ფუნქციონალური ან დეტერმინირებული კავშირების არსებობას, როდესაც ფაქტორული ნიშნის თითოეულ მნიშვნელობას შეესაბამება შედეგობრივი ნიშნის განსაზღვრული არაშემთხვევითი მნიშვნელობა.

*პროპორციული დამოკიდებულებების მეთოდი*

საწარმოს ეკონომიკური პოტენციალის პროგნოზირების *საბალანსო მეთოდის* არსი ნათელია მისი სახელიდან გამომდინარეც კი. საწარმოს ბალანსი შეიძლება აღწერილ იქნეს სხვადასხვა საბალანსო ტოლობით, რომელიც ასახავს დამოკიდებულებას საწარმოს აქტივებსა და პასივებს შორის. უმარტივეს საბალანსო ტოლობას წარმოადგენს შემდეგი:

$$A = E + L,$$

სადაც A არის აქტივები, E - საკუთარი კაპიტალი, ხოლო L - საწარმოს ვალდებულებები.



რესურსის პოტენციალის საპროგნოზო ცვლილებასთან ერთად უნდა იცვლებოდეს დაფინანსების წყაროებიც, და შესაძლებელია მათი თანაფარდობის ცვლილებაც. ამრიგად, საბალანსო მოდელი საშუალებას იძლევა გამოთვლილ იქნეს განტოლების ერთ-ერთი პარამეტრის საპროგნოზო მნიშვნელობა: ჯამური აქტივების, საკუთარი კაპიტალის ან ნასესხები საშუალებების მოცულობა, იმ პირობებში, თუ გვეცოდინება დანარჩენი ორის საპროგნოზო მნიშვნელობა.

*სტოხასტიკური მეთოდები* გულისხმობს როგორც პროგნოზის, ასევე საკვლელ მაჩვენებლებს შორის კავშირის ალბათურ ხასიათს. ზუსტი პროგნოზის მიღების ალბათობა იზრდება ემპირიული მონაცემების რაოდენობის ზრდასთან ერთად.

*ჩვეულებრივი დინამიკური ანალიზის მეთოდი* ეფუძნება იმას, რომ პროგნოზირებადი მაჩვენებელი იცვლება პირდაპირ- თუ უკუპროპორციულად დროთა განმავლობაში. ამიტომ საპროგნოზო მნიშვნელობების მისაღებად იგება შემდეგი სახის განტოლებები:

$$Y_t = a + b * t$$

სადაც  $t$  არის პერიოდის რიგითი ნომერი. რეგრესიის განტოლების პარამეტრებს პოულობენ, როგორც წესი, უმცირეს კვადრატთა მეთოდით.

*ავტორეგრესიული დამოკიდებულებების მეთოდი.* ეკონომიკური პროცესები ხასიათდებიან ურთიერთდამოკიდებულებებითა და გარკვეული ინერციულობით, რაც იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკულად ნებისმიერი ეკონომიკური მაჩვენებლის მნიშვნელობა დროის  $t$  მომენტისთვის დამოკიდებულია ამ მაჩვენებლის მდგომარეობაზე წინა პერიოდებში.

*მრავალფაქტორიანი რეგრესიული ანალიზი* გამოიყენება რომელიმე მაჩვენებლის პროგნოზის ასაგებად იმის გათვალისწინებით, რომ ამ მაჩვენებელსა და სხვა მაჩვენებლებს შორის არსებობს გარკვეული კავშირი.

$$Y = A_0 + A_1 * X_1 + A_2 * X_2 + \dots + A_k * X_k ,$$

სადაც  $A_i$  - არის რეგრესიის კოეფიციენტები,  $i = 1, 2, \dots, k$ .

რეგრესიის კოეფიციენტების მნიშვნელობები განისაზღვრება მათემატიკური გამოთვლების შედეგად, რომლებიც ჩვეულებრივ ტარდება სტანდარტული სტატისტიკური კომპიუტერული პროგრამების დახმარებით.

მრავლობითი რეგრესიის ანალიზი შეიძლება გამოყენებულ იქნას საწარმოს საბრუნავი და გრძელვადიანი აქტივების სიდიდეების პროგნოზირებისთვის. ყველაზე დიდ გავლენას ბალანსის მოცემულ მუხლებზე გავლენას ახდენს შემდეგი მაჩვენებლების პროგნოზი:

- საწარმოს შემოსავალი რეალიზაციიდან, რომელიც პირდაპირ არის დამოკიდებული შესყიდულ მარაგებზე
- გრძელვადიანი სესხები, რომელთა უდიდესი ნაწილი დახარჯული იქნება ძირითადი საშუალებების შეძენასა და არამატერიალურ აქტივებზე
- აქტივების საერთო მოცულობა

პროგნოზირების მეთოდების ეფექტიანობის შესაფასებლად ძირითად კრიტერიუმებად გამოიყენება პროგნოზის სიზუსტე და საწარმოს მომავალი ფინანსური მდგომარეობის წარმოდგენის სისრულე.

ბალანსისა და მოგება/ზარალის ძირითადი მუხლების პროგნოზული მაჩვენებლები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფინანსური ანალიტიკოსების, რეიტინგული სააგენტოების, კრედიტორებისა და სახელმწიფო ორგანოების მიერ, საწარმოს მოსალოდნელი ფინანსური მდგომარეობის განსასაზღვრის მიზნით.

წარსულის მართვა შეუძლებელია, თუმცა პრაქტიკაში ხშირად ვაწყდებით ისეთ შემთხვევებს, როცა კომპანიის მმართველები მიჰყვებიან მათ მიერ შედგენილ ბიზნეს-გეგმას, ბიზნესის წარმოების თავიანთ კურსს და არ წუხდებიან იმ შესაძლებლობებისა და საფრთხეების ტენდენციების ანალიზით, რომლებიც ელით მომავალში. ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილება უნდა იყოს განმტკიცებული პროგნოზული მაჩვენებლებით, რაც საშუალებას იძლევა არჩეულ იქნეს სიტუაციის განვითარების ყველაზე მომგებიანი ტრაექტორია და მოხდეს რისკების ნეიტრალიზება. სრული ინფორმაციის მიღება ბიზნესის მომავალი ფინანსური მდგომარეობის შესახებ შესაძლებელია პროგნოზული ფინანსური მდგომარეობის სრული პაკეტის მეშვეობით.

პროგნოზული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება საშუალებას იძლევა გამოთვლილ იქნეს პრაქტიკულად ნებისმიერი ფინანსური მაჩვენებელი, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება კომპანიის შედეგიანობის გასაზომად. შედარებით ნათელი და მარტივი ხდება იმის გადაწყვეტა, თუ როგორ განვკარგოთ არსებული აქტივები,

ავირჩიოთ საბრუნავი კაპიტალისა და ინვესტიციების ფინანსირების საუკეთესო მექანიზმი, განისაზღვროს დივიდენდის პოლიტიკა და ა.შ. გრძელვადიანი პროგნოზული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებები ბიზნესის შეფასების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. თუმცა მაჩვენებლების პროგნოზირება არ იძლევა ზუსტ შედეგებს, რადგანაც რეალური რეზულტატი მიიღება უამრავი შიდა და გარე ფაქტორის ზემოქმედებით, ასევე გადაწყვეტილებებით, რომლებსაც იღებენ ფირმის ხელმძღვანელები. რთული მოდელების აგებისას გაითვალისწინება დიდი რაოდენობის დაშვებები, რომლებიც რეალურად იშვიათად სრულდება პრაქტიკაში.

### **გეგმური ბუღალტრული ბალანსის მომზადება**

ფინანსური კონტროლი - საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის უმნიშვნელოვანესი ასპექტი. დაგეგმარების ერთ-ერთი მეთოდია პროგნოზული ბალანსის შედგენა. შემდგომ გამოითვლება კოეფიციენტები, რომელთა მეშვეობით ხდება კომერციული სტრუქტურის მიერ მიღწეული შედეგების შეფასება.

პრაქტიკაში კომპანიის ხელმძღვანელები ისახავენ მოკლევადიან და გრძელვადიანი მიზნებს მოგების მოცულობის, საბრუნავი აქტივებისა და კრედიტორული დავალიანების მიმართ.

პროგნოზული ბალანსის შედგენა მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

- კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი გასული პერიოდების ანგარიშგებების საფუძველზე
- ფინანსური შედეგებისა და მასზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა
- საბაზრო კონიუნქტურისა და მისი ცვლილებების შეფასება
- უშუალოდ ანგარიშგების პროგნოზული ფორმის აგება

მზა ბალანსს იყენებენ ფინანსური კოეფიციენტების გამოთვლებისთვის, რომლის საფუძველზე ხდება მიღწეული და გეგმური შედეგების შედარება.

ანგარიშგების მოცემული ფორმის მეორე ამოცანაა - გამოვლინდეს არსებული პრობლემები, რომელთა გადაჭრა არ იყო დაგეგმილი კომპანიის მმართველების მიერ.

პროგნოზული ბალანსის შედგენა იწყება საკუთარი კაპიტალის სასურველი სიდიდის განსაზღვრით. როგორც წესი, ანალიტიკოსები ითვალისწინებენ სამი სიდიდის უცვლელობას:

- საწესდებო კაპიტალი
- სარეზერვო კაპიტალი
- საემისიო კაპიტალი

აქედან გამომდინარე, ერთადერთი მაჩვენებელი, რომელიც გავლენას ახდენს საკუთარი კაპიტალის მოცულობაზე, არის ფირმის მოგება. იგი გამოითვლება პროგნოზირებადი შემოსავლის ნამრავლით რენტაბელობის დონეზე, რომელიც ეფუძნება გასულ პერიოდებს.

როდესაც ცნობილია შემოსავლის გეგმური სიდიდე, ანალიტიკოსს შეუძლია გამოიყენოს მეთოდი, რომლის თანახმად ბალანსის გარკვეული მუხლები შეიცვლება გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის ცვლილების პროპორციულად.

ზოგადად, შემოსავლის დადებითი დინამიკა მოითხოვს ძირითადი საშუალებების, ასევე მარაგების ღირებულების ზრდას. კონტრაგენტებთან დაიდება ახალი შეთანხმებები, რაც გაზრდის დებიტორულ დავალიანებას, ასევე ფულად სახსრებს. ახალი აქტივების შესაძენად ფირმას დასჭირდება კრედიტები, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი.

როცა ყველაფერი ცნობილია, ანალიტიკოსი ითვლის აქტივებსა და პასივებს. პასივებსა და აქტივებს შორის სხვაობა ასახავს ფირმის საჭიროებას გარე ფინანსირებაში. ამ სიდიდის პოვნის შემდგომ ხდება ბალანსის ფორმის კორექტირება საბალანსო ტოლობის მისაღწევად.

**გეგმური მოგება-ზარალის ანგარიშგების მომზადება** ხდება გეგმური პერიოდის დაწყებამდე და ასახავს გეგმური საქმიანობის შედეგებს. პროგნოზული მოგება-ზარალის ანგარიშგების შედგენა ხორციელდება იმისთვის, რომ განისაზღვროს და გამოკლებულ იქნეს მოგების გადასახადის ხარჯი ფულადი ნაკადების ბიუჯეტიდან.

პროგნოზული ანგარიშგების შედგენა ხდება გაყიდვების, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებისა და მიმდინარე ხარჯების ბიუჯეტში არსებული

მონაცემების საფუძველზე. ამას ემატება ინფორმაცია სხვა შემოსავლებზე, ხარჯებსა და მოგების გადასახადის სიდიდის შესახებ.

განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ეტაპია თვითღირებულების შეფასება. იმისათვის, რომ თვითღირებულების შეფასების პროცესი იყოს ადეკვატური და შესაბამისი ოპერატიული ფინანსური დაგეგმარების პროცესის, საჭიროა აიგოს თვითღირებულების მოდელი, რომლის მეშვეობით ავტომატურად ხდება თვითღირებულების გადათვლა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, ეს იქნება რესურსების გამოყენების მოცულობისა თუ ფასების ცვლილება.

პროგნოზული მოგება-ზარალის ანგარიშების შედგენა შესაძლებელია კომპანიის განვითარების ტენდენციების შესახებ ინფორმაციის მეშვეობით, გამოიყენება წარმოების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი და ინფორმაცია ანგარიშების სტრუქტურაში არსებული მაჩვენებლების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

### 3.2 ფულადი ნაკადების პროგნოზირება

ბიზნესის ნებისმიერ სფეროში შედეგები არის დამოკიდებული ფინანსური რესურსების არსებობასა და მათი გამოყენების ეფექტურობაზე. ფინანსურმა მენეჯერმა უნდა მოახდინოს ფულადი ნაკადების სხვადასხვა მაჩვენებლის პროგნოზირება. უფრო მეტი, პროგნოზირება, როგორც მმართვეის ერთ-ერთი მეთოდი, არ უნდა გულისხმობდეს მხოლოდ მაჩვენებლების რაოდენობრივ გამოთვლას; პროგნოზირება მოიაზრება უფრო ფართო გაგებით, კერძოდ, როგორც ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების მეთოდი. ამ თვალსაზრისით, პროგნოზირება მჭიდროდ არის დაკავშირებული პერსპექტიულ ანალიზთან, რადგანაც საბოლოო ვარიანტის არჩევა ხდება სხვადასხვა ვარიანტის შედარებითი ანალიზისა და ალტერნატიული ხასიათის განხილვის შემდეგ.

**ფულადი სახსრების ნაკადის პროგნოზი** - ეს არის ანგარიშგება, რომელშიც აისახება ფულადი სახსრების ყველა შემოდინება და გადინება მოსალოდნელი ოპერაციების პროცესში, გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება საშუალებას იძლევა წინასწარ განვსაზღვროთ, თუ რა ელის კომპანიას - ფულადი სახსრების დეფიციტი თუ პროფიციტი, ასევე გარკვეული დროის განმავლობაში შეცვალოს ფირმამ პოლიტიკა.

სხვა ეკონომისტების აზრით, რადგანაც მაჩვენებელთა უმრავლესობის პროგნოზირება დიდი სიზუსტით საკმაოდ რთულია, ფულადი ნაკადის პროგნოზირება ხშირად დაიყვანება ფულადი ნაკადების ბიუჯეტის შედგენამდე.

ფულადი სახსრების ბიუჯეტი - ეს არის ფულადი სახსრების შემოდინებისა და გადინების პროგნოზი, რომელიც ფორმირებულია პერიოდებად.

ბიუჯეტის შედგენის მთავარი იდეაა - უზრუნველყოს კომპანია ფულადი სახსრების დადებითი ნაშთით, გეგმური პერიოდის განმავლობაში.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება შედგება სამი განყოფილებისგან:

1. საინვესტიციო საქმიანობა - ამ განყოფილებაში მოცემულია კაპიტალურ ხარჯებსა და სხვა ინვესტიციებზე გაწეული ფულადი სახსრები
2. საოპერაციო საქმიანობა - ასახულია მზა პროდუქციის რეალიზაციიდან ფულადი სახსრების შემოდინება და პროდუქციის დამზადების პროცესში გადინებული ფულადი სახსრები
3. საფინანსო საქმიანობა - აქ ასახულია გარე დაფინანსებით მიღებული სახსრები

პროგნოზირების მეთოდის პროცედურები ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- ფულის შემოდინების პროგნოზირება
- ფულადი სახსრების გადინების პროგნოზირება
- წმინდა ფულადი ნაკადის განსაზღვრა პერიოდების მიხედვით
- მოთხოვნის განსაზღვრა მოკლევადიან დაფინანსებაზე

**პირველი ეტაპის** არსი მდგომარეობს იმაში, რომ გამოთვლილ იქნეს ფულადი შემოდინების უსაძლო მოცულობა. ფულადი თანხების მიღების ძირითად წყაროს წარმოადგენს პროდუქციის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა. რეალიზაცია კი შეიძლება განხორციელდეს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით. პრაქტიკულად, საწარმოთა უმრავლესობა აკვირდება, საშუალოდ რა პერიოდია საჭირო, იმისათვის რომ მყიდველებმა დაფარონ დავალიანება. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დადგინდეს, შემოსავლის რა ნაწილს მიიღებს კომპანია ქვეპერიოდში, რა ნაწილს - მომავალში. შემდეგ, საბალანსო მეთოდით გამოითვლება ფულადი შემოსულობები და დებიტორული დავალიანების ცვლილებები.

**საბაზო საბალანსო ტოლობა:**

დებ. დავალიანება პერიოდის დასაწყისში + პერიოდის შემოსავალი რეალიზაციიდან  
= დებ. დავალიანება პერიოდის ბოლოს + პერიოდის ფულადი შემოსულობები

უფრო ზუსტი შედეგის მისაღებად მიზანშეწონილია დებიტორული დავალიანების კლასიფიკაცია მისი დაფარვის ვადების მიხედვით. ასეთი კლასიფიკაცია

შესაძლოა გაკეთდეს გასული პერიოდების დებიტორული დავალიანებების დაფარვის ვადების შესახებ სტატისტიკური მონაცემების გამოყენებითა და ფაქტობრივი მონაცემების ანალიზით. ანალიზის გაკეთება სასურველია თვეების მიხედვით. ფულადი სახსრების მიღების შესახებ სხვა ინფორმაციის არსებობის დროს მათი პროგნოზული შეფასება კეთდება პირდაპირი გაანგარიშების წესით: მიღებული თანხა ემატება რეალიზაციიდან მიღებულ ფულად შემოსულობებს მიმდინარე პერიოდში.

*მეორე ეტაპზე* ხდება ფულის გადინების მოცულობის დადგენა. როგორც წესი, ფულის გადინება უკავშირდება კრედიტორული დავალიანებების დაფარვას. უმეტესად, კომპანიები ცდილობენ დაფარონ ვალები ვადაში, თუმცა ზოგჯერ ხდება ვადაგადაცილებაც, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს მოკლევადიანი ფინანსირების დამატებით წყაროს. ქვეყნებში, სადაც განვითარებულია საბაზრო ეკონომიკა, არსებობს საქონლის გადახდევინების სხვადასხვა სისტემა, კერძოდ, გადახდის სიდიდე დამოკიდებულია პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც მოხდა გარიგება. ასეთი სისტემის გამოყენების დროს ვადაგასული კრედიტორული დავალიანება საკმაოდ ძვირადღირებული, რადგანაც იკარგება მომწოდებლის მიერ შემოთავაზებული ფასდაკლების ნაწილი. ფულადი სახსრების გამოყენების სხვა მიმართულებებს მიეკუთვნება პერსონალის ხელფასი, ადმინისტრაციული და სხვა მუდმივი თუ ცვლადი ხარჯები.

*მესამე ეტაპი* წარმოადგენს წინა ორი ეტაპის ლოგიკურ გაგრძელებას, კერძოდ, ფულად შემოსულობებს უპირისპირდება ფულადი გასავლები და შედეგად მიიღება წმინდა ფულადი ნაკადი.

*მეოთხე ეტაპზე* გამოითვლება ერთობლივი მოთხოვნა მოკლევადიანი ფინანსირებისთვის. ეტაპის არსი მდგომარეობს მოკლევადიანი საბანკო სესხების მოცულობის განსაზღვრაში. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ფულადი სახსრების მინიმალური ოდენობა მოულოდნელი ხარჯებისთვის.



ფულადი ნაკადების პროგნოზირების სხვა მეთოდებია:

*ექსპერტული შეფასებების მეთოდები*

ესაა ყველაზე მარტივი და პოპულარული მეთოდები; ექსპერტული შეფასების მეთოდი არ მიეკუთვნება თანამედროვე მეთოდებს, მაგალითად, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ისტორია ითვლის არაერთ ათასწლეულს. ამ მეთოდის გამოყენების მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ გარკვეული პროგნოზებისა და გეგმების შედგენის ხერხი ინტუიციურ დონეზე. თუ ამასთანავე ანალიტიკოსი გამოიყენებს ეკონომიკური სტატისტიკის ინსტრუმენტებს, იგი შეძლებს არა მხოლოდ ფულადი ნაკადების პროგნოზირებას, არამედ მათ ანალიზსა და კონტროლს.

*სივრცითი, დროითი და სივრცულ-დროითი ერთობლიობების დამუშავების მეთოდები*

ამ მეთოდებს უკავია წამყვანი ადგილი ფორმალიზებული პროგნოზირების პოზიციის კუთხით. ამა თუ იმ მეთოდის არჩევა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის უკვე არსებულ დამოუკიდებელ ცვლადებზე. ამ პარამეტრის მიხედვით, შეიძლება გამოიყოს სამი სიტუაცია.

*პირველი სიტუაცია* - დროითი მწკრივის არსებობა - პრაქტიკაში ხშირად გვხვდება: ფინანსურ მენეჯერს გააჩნია გარკვეული მაჩვენებლის დინამიკის შესახებ მონაცემები, რომელთა საფუძველზე საჭიროა მისაღები პროგნოზის აგება. სხვა სიტყვებით, უნდა გამოიყოს ტრენდი. ეს შესაძლებელია სხვადასხვა ხერხით: მარტივი დინამიკური ანალიზის მეთოდით და ავტორეგრესიული დამოკიდებულებების მეშვეობით.

*მეორე სიტუაცია* - სივრცითი ერთობლიობების არსებობა - მაშინ აქვს ადგილი, თუ გარკვეული მიზეზებით სტატისტიკური მონაცემები მაჩვენებლის შესახებ არ მოიპოვება ან არის მოსაზრება, რომ მაჩვენებლის მნიშვნელობა ყალიბდება ზოგიერთი ფაქტორის ზეგავლენით. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მრავლობითი რეგრესიის ანალიზი.

*მესამე სიტუაცია* - სივრცულ-დროითი ერთობლიობების არსებობა - გვხვდება მაშინ, როცა: დინამიკის მწკრივი თავისი სიგრძით არასაკმარისია იმისათვის, რომ აიგოს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პროგნოზი; ანალიტიკოსს აქვს განზრახული

გაითვალისწინოს პროგნოზში ის ფაქტორები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან ეკონომიკური ბუნებითა და დინამიკით.

### სიტუაციური ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდები

პროგნოზირების ამ მეთოდების საფუძვლად დევს მოდელები, რომლებიც განკუთვნილია ფუნქციონალური ან მკაცრად დეტერმინირებული კავშირების შესასწავლად და როდესაც ფაქტორული ცვლადის ყოველ მნიშვნელობას შეესაბამება შედეგობრივი ცვლადის განსაზღვრული არაშემთხვევითი მნიშვნელობა.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გამოვლინდეს და გამოკვლელ იქნეს ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, კერძოდ, დადგინდეს ფაქტორთა გავლენის ხარისხი ფირმის საქმიანობის შედეგობრივ მაჩვენებლებზე, მაგალითად, წმინდა ფულად ნაკადზე.

ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზირების ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- ორგანიზაციის მომავალი მოთხოვნის განჭვრეტა ფულად სახსრებზე
- ამ მოთხოვნის ფინანსური შედეგების შეფასება
- მოთხოვნის დაკმაყოფილების ოპტიმალური ხერხების პოვნა

პროგნოზირების დაწყება მიზანშეწონილია ფულადი ნაკადების მოძრაობის შეფასებისა და სხვადასხვა სცენარის განვითარების ანალიზის დასრულების შემდეგ. ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზირება მოიცავს ორ ძირითად სიუჟეტს:

1. თავისუფალი ფულადი სახსრების დაბანდება
2. მოკლევადიანი სესხების მიღება ფულადი სახსრების დეფიციტის დაფარვის მიზნით

იქედან გამომდინარე, რომ მრავალფეროვანია საბაზრო ინსტრუმენტები და ბევრგანაა შესაძლებელი ფულის დაბანდება, ასევე მოკლევადიანი სესხების მიღების მრავალი წყარო არსებობს, მენეჯერს უწევს არჩევანის გაკეთება ინსტრუმენტებს შორის,

რომლებიც უზრუნველყოფენ უდიდეს მოგებას მინიმალური რისკის პირობებში (ინვესტირებისთვის) და მინიმალურ პროცენტს (სესხის მიღებისას).

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში ფულადი სახსრების მოძრაობის კონტროლი იძენს გადამწყვეტ მნიშვნელობას, რადგანაც ამაზეა დამოკიდებული საწარმოს „სიცოცხლისუნარიანობა“. ამრიგად, საჭიროა ფულადი ნაკადების პროგნოზირება, ფულადი სახსრების ბიუჯეტის შედგენა და შემუშავება. ეს საშუალებას მისცემს კომპანიას, გამოავლინოს ფულადი საშუალებების დეფიციტი ან პროფიციტი მათ წარმოქმნამდე. ფულადი სახსრების ნაკადების მართვის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს შესაბამისი დაგეგმარება.

### 3.3 საწარმოს მოსალოდნელი გაკოტრების პროგნოზირების მეთოდოლოგია

როდესაც საუბარია კომპანიის გაკოტრებაზე, ამაში მოიაზრება საწარმოს გადახდისუნარიობა კრედიტორთა წინაშე.

გადახდისუნარიობა - სიტუაცია, როდესაც კომპანიას არ შეუძლია დაფაროს ვალდებულებები ვადებში, რომელიც გამოწვეულია ფულადი სახსრების უქონლობით ან არასაკმარისი მოცულობით.

თუ მევალეს, თავისი სამეწარმეო საქმიანობის წარმართვის პროცესში, არ შეუძლია შეასრულოს ვალდებულებები სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, მაშინ შეფარდებითი გადახდისუნარიობა გადადის აბსოლუტურ გადახდისუნარიობაში.

სამეურნეო სუბიექტის გადახდისუნარიობა წარმოადგენს საწარმოს გაბანკროტების აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობას.

#### **ბანკროტის სახეობა:**

*რეალური ბანკროტი.* მოცემულ სიტუაციაში კომპანიას არ შესწევს უნარი აღადგინოს თავისი გადახდისუნარიანობა, რადგანაც მიღებული აქვს დიდი დანაკარგები, საკუთარი თუ ნასესხები კაპიტალის სახით. კაპიტალის დანაკარგების დიდი დონე, ასევე კრედიტორული დავალიანების წილის ზრდა შეუძლებელს ხდის საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ნორმალურ წარმართვას.

*ბიზნესის ბანკროტი.* ეს ტერმინი გამოიყენება კომპანია „Dun & Bradstreet“-ის მიერ - უზარმაზარი კომპანია, რომელიც ახორციელებს იმ ფირმების სტატისტიკას, რომლებმაც შეწყვიტეს ფუნქციონირება და ზარალი მოუტანეს თავიანთ კრედიტორებს.

*დროებითი (პირობითი) გაკოტრება* - სიტუაცია, რომლის დროსაც საწარმო გადახდისუნაროა, აქტივები აღემატება პასივებს, ასევე დიდია დებიტორული დავალიანებებისა და მზა პროდუქციის მოცულობა. ასეთი ტიპის „გაკოტრება“ არ იწვევს კომპანიის ლიკვიდაციას. სწორი პროცედურების ჩატარების პირობებში იზრდება რეალური შესაძლებლობა, აღდგეს კომპანიის გადახდისუნარიანობა და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მდგრადი განვითარება მომავალში.

*მიზანმიმართული (განზრახ) გაკოტრება* - დაკავშირებული კომპანიის მმართველებისა და მფლობელების მიერ გადახდისუნარიანობის სიტუაციის განზრახ

შექმნაზე, ასევე ეკონომიკური ზიანის მიყენებასთან, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე.

*ფიქტიური ბანკროტი* - კომპანიის მიერ თავისი გადახდისუნარობის განზრახ გამოცხადება კრედიტორებისგან შეღავათების მიღების, ან ვალდებულებების არაკონკურენტუნარიანი პროდუქციით დაფარვის მიზნით.

როგორც აჩვენებს მსოფლიო პრაქტიკა, საწარმოთა გაკოტრება - არ არის შემთხვევითი მოვლენა, არამედ კანონზომიერებაა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში. ფირმათა მნიშვნელოვანი ნაწილის ლიკვიდაცია, განსაკუთრებით, ახლადშექმნილი კომპანიების, დაფიქსირებულია სტატისტიკით ბევრ ქვეყანაში. ევროპელი მკვლევარები ამტკიცებენ, რომ მეორე წლის ბოლომდე აღწევენ ახალშექმნილი კომპანიების არაუმეტეს 20-30 %.

ასეთი არაეფექტიანობა უქმნის აქციონერებს დიდი ზარალის წინაპირობას, შესაბამისად, მთელ ეკონომიკას.

ჩნდება კითხვა - რა კრიტერიუმებით ხდება ამა თუ იმ სამეურნეო სუბიექტის გადახდისუნარობის შეფასება და რა ნიშნებით შესაძლებელია მოსალოდნელი გაკოტრების პროგნოზირება ?

ბანკროტის ნიშნების სტრუქტურა:

- ფორმალური
- არაფორმალური

ამა თუ იმ სუბიექტის გაკოტრების ფორმალური ნიშანი კონცენტრირებული სახით წარმოდგენილია გადახდისუნარობაში. მევალის წინააღმდეგ, რომელსაც არ აქვს უნარი, დაფაროს ვალები, შესაძლოა აღძრული იყოს საქმე გადახდისუნარობის შესახებ, მაგალითად, გერმანიაში, თუ ფიქსირდება გადაუხდელობის ფაქტი (ვადაგადაცილება 1 თვეზე მეტი ხნით) თანხაზე, რომელიც აღემატება ლიკვიდურ აქტივებს.

ფორმალური ნიშნების გარდა, საჭიროა არაფორმალური ნიშნების განხილვაც. ისინი მიუთითებენ კომპანიის შესაძლო კრიზისულ მდგომარეობაზე და მოსალოდნელ

გაკოტრებაზე, არ აქვთ აბსოლუტური ძალა და უნდა გათვალისწინებულ იქნას კომლექსურად.

მიუხედავად სხვადასხვა ფაქტორისა, ასევე შეიძლება ითქვას, რომ მრავალი კომპანიის სირთულეები და წარუმატებლობები ხშირად იწყება ხოლმე მმართველებს შორის კონფლიქტით, შრომითი კონფლიქტებით, სერიოზული კლიენტებისა თუ კრედიტორების დაკარგვით.

არსებობს მოსალოდნელი გაკოტრების პროგნოზირების ორი მიდგომა. პირველი - *რაოდენობრივი* - ეფუძნება ფინანსურ მონაცემებს და მოიცავს ზოგიერთი კოეფიციენტით ოპერირებას. მეორე - *ხარისხობრივი* - გამომდინარეობს უკვე გაბანკროტებული კომპანიების მონაცემებიდან და ხორციელდება საკვლევ კომპანიის შესაბამის მონაცემებთან შედარება. ინტეგრალური შეფასების მეთოდი მოიცავს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მიდგომის ელემენტებს.

შემუშავებულია ასევე გაკოტრების პროგნოზირების მეთოდიკა დარგის გათვალისწინებით. კრედიტუნარიანობის კლასის დადგენა დაკავშირებულია საბრუნავი აქტივების კლასიფიკაციასთან მათი ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით.

## 1. ალთმანის მრავალფაქტორიანი მოდელი

ედუარდ ალთმანი - ამერიკელი მეცნიერი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შემოგვთავაზა ფინანსური მდგომარეობის შეფასება არა კოეფიციენტების მეშვეობით, არამედ ინტეგრალური მოდელის გამოყენებით. რა არის ინტეგრალური მოდელი? ინტეგრალური მოდელი არის კოეფიციენტების ერთობლიობა, რომელიც ითვლის ინტეგრალურ მაჩვენებელს. იგი, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა შეფასებულ იქნეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა.

ალთმანმა თავისი მოდელის ასაგებად გამოიყენა 66 ამერიკული კომპანია, 1946-1965 წლების პერიოდში. 33 კომპანია ამ პერიოდში გაკოტრდა, ხოლო დანარჩენი 33 კი დარჩა ფინანსურად სტაბილური. ამის გარდა, 22 ფინანსური კოეფიციენტიდან მან გამოყო სულ 5, რომლებიც, მისი აზრით, ყველაზე უკეთ ასახავდა საწარმოს

საქმიანობას. არსებულისა და სხვა ინსტრუმენტარიის გამოყენების შედეგად, ალთმანმა მიიღო ინტეგრალური მოდელი.

**ალთმანის ორფაქტორიანი მოდელი**

$$Z = -0.3877 - 1.073 \cdot X_1 + 0.0579 \cdot X_2$$

სადაც  $X_1$  საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი, ხოლო  $X_2$  - კაპიტალიზაციის კოეფიციენტი.

შეფასება:

$Z < 0$  - გაკოტრების ალბათობა 50%-ზე ნაკლებია და მცირდება Z-ის შემცირებასთან ერთად

$Z > 0$  - გაკოტრების ალბათობა 50%-ზე მეტია და იზრდება Z-ის გაზრდასთან ერთად

$Z = 0$  - გაკოტრების ალბათობა 50%-ის ტოლია

**ალთმანის ხუთფაქტორიანი მოდელი**

1968 წელს ედუარდ ალთმანმა შემოგვთავაზა საწარმოს მოსალოდნელი გაკოტრების პროგნოზირების ხუთფაქტორიანი მოდელი. ინტეგრალური მაჩვენებლის გამოთვლის ფორმულა შემდეგია:

$$Z = 1.2 \cdot X_1 + 1.4 \cdot X_2 + 3.3 \cdot X_3 + 0.6 \cdot X_4 + X_5$$

კოეფიციენტი	ფორმულა	ფორმულა ფასს-ის მიხედვით
$X_1$	საბრუნავი კაპიტალი/აქტივები	(Working Capital) / Total Assets
$X_2$	გაუნაწილებელი მოგება/აქტივები	Retained Earnings / Total Assets
$X_3$	საოპერაციო მოგება/აქტივები	EBIT / Total Assets
$X_4$	აქციების საბაზრო ღირ- ბა/ვალდებულებები	Market value of Equity/ Book value of Total Liabilities
$X_5$	ამონაგები/აქტივები	Sales/Total Assets

შეფასება:

$Z > 2,9$  - ფინანსური სტაბილურობის ზონა („მწვანე“ ზონა)

$1,8 < Z < 2,9$  - განუსაზღვრელობის ზონა („ნაცრისფერი“ ზონა)

$Z < 1,8$  - ფინანსური რისკის ზონა („წითელი“ ზონა)

**ალტმანის მოდელი კერძო კომპანიებისთვის**

1983 წელს ალტმანმა წარმოადგინა მოდელი იმ კომპანიებისთვის, რომლებიც არ ათავსებდნენ თავიანთ აქციებს საფონდო ბირჟაზე. ფორმულა შემდეგია:

$$Z = 0.717 * X_1 + 0.847 * X_2 + 3.107 * X_3 + 0.420 * X_4 + 0.988 * X_5$$

წინა შემთხვევისგან განსხვავებით, მეოთხე კოეფიციენტი  $X_4$  გამოითვლება როგორც საკუთარი კაპიტალის ფარდობა ვალდებულებებთან. ალტმანის ხუთფაქტორიანი მოდიფიცირებული მოდელის სიზუსტე - 90.9% 1 წლით ადრე ბანკროტის დადგომამდე.

შეფასება:

$Z^* > 2,9$  - ფინანსური სტაბილურობის ზონა

$1,23 < Z^* < 2,9$  - განუსაზღვრელობის ზონა

$Z^* < 1,23$  - ფინანსური რისკის ზონა

**ალტმანის მოდელი არასაწარმოო კომპანიებისთვის**

1993 წელს ალტმანმა შექმნა ფორმულა არასაწარმოო ფირმების მოსალოდნელი გაკოტრების შეფასებისთვის:

$$Z = 6.56 * X_1 + 3.26 * X_2 + 6.72 * X_3 + 1.05 * X_4$$



## 2. ფულმერის მრავალფაქტორიანი მოდელი

საწარმოს გაკოტრების პროგნოზირების ფულმერის მოდელი შეიქმნა 60 კომპანიის მონაცემების საფუძველზე: 30 მათგანი გაკოტრდა და 30 ნორმალურად ფუნქციონირებდა - 455 ათ. დოლარის საშუალო წლიური ბრუნვით. ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$H = 5.528 * X_1 + 0.212 * X_2 + 0.073 * X_3 + 1.270 * X_4 - 0.120 * X_5 + 2.335 * X_6 + 0.575 * X_7 + 1.083 * X_8 + 0.894 * X_9 - 6.075$$

მაჩვენებელი	ფორმულა	ფორმულა ფასს-ით
$X_1$	გაუნაწ. მოგება/აქტივების საშ. ნაშთი	Average retained earning / Average total assets
$X_2$	შემოსავალი რეალიზაციიდან/აქტივების საშ. ნაშთი	Revenues / Average total assets
$X_3$	საოპერაციო მოგება/სააქციო კაპიტალის საშ. ნაშთი	EBT / Total equity (market cap + preferred stock equity + noncontrolling interests)
$X_4$	საოპ. საქმიანობიდან მიღებული ფული/ვალდ. საშ. ნაშთი	Cash flow / Average total debt
$X_5$	ვალდ. საშ. ნაშთი/საკუთ. კაპიტალის საშ. ნაშთი	Cash flow / Average total debt
$X_6$	მიმდ. ვალდ. საშ. ნაშთი/აქტივების საშ. ნაშთი	Current liabilities / Average total assets
$X_7$	გრძ. აქტივების საშ. ნაშთი/აქტივების საშ. ნაშთი	Log (tangible total assets)
$X_8$	სსს/მთლიანი ვალდ. საშ. ნაშთი	Average working capital / Average total debt
$X_9$	საოპერაციო მოგება/საპროცენტო ხარჯები	Log (EBIT / Interest)

თუ  $H < 0$ , საწარმო გაკოტრებულად ითვლება.

### 3. სპრინგეითის მოდელი

სპრინგეითის მოდელი - შეიქმნა გორდონისა და სპრინგეითის მიერ 1978 წელს, ალთმანის მოდელის საფუძველზე. მოდელის შემუშავების პროცესში 19 ფინანსური კოეფიციენტისგან, რომელსაც სპრინგეითი საუკეთესოებად თვლიდა, შერჩეულ იქნა 4 კოეფიციენტი და შეიქმნა ეს მოდელი.

ბანკროტის ალბათობის შეფასება სპრინგეითის მოდელით ხდება შემდეგი ფორმულის საშუალებით:

$$Z = 1.03 \cdot X_1 + 3.07 \cdot X_2 + 0.66 \cdot X_3 + 0.4 \cdot X_4$$

სადაც  $X_1$  - სსს / აქტივების საშ.ნაშთი;

$X_2$  - EBIT / აქტივების საშ.ნაშთი;

$X_3$  - EBT / მიმდ. ვალდ. საშ.ნაშთი;

$X_4$  - შემოსავალი რეალიზაციიდან / აქტივების საშ.ნაშთი

თუ  $Z < 0,862$ , მაშინ საწარმო პოტენციურად გაკოტრებულად ითვლება. მოცემული მოდელისთვის პროგნოზირების სიზუსტე შეადგენს 92%-ს.

## დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე სამაგისტრო შრომაში განხილულ იქნა ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მიზანი, ამოცანები, ინფორმაციული წყარო და მაჩვენებელთა სისტემა.

საწარმოს ფინანსების წარმატებული და ეფექტიანი მართვის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს მისი ფინანსური მდგომარეობის ანალიზი.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა ხასიათდება მაჩვენებელთა ერთობლიობით, რომელიც გამოსახავს ფინანსური სახსრების ფორმირებისა და გამოყენების პროცესს.

საბაზრო ეკონომიკაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობა გამოხატავს მისი საქმიანობის საბოლოო შედეგებს. რეზულტატებით ინტერესდებიან არა მხოლოდ კომპანიაში დასაქმებულები, არამედ მისი პარტნიორები, სახელმწიფო და საფინანსო ორგანოები.

ყველაფერი ეს წინაპირობას უქმნის ფინანსური ანალიზის ჩატარებას და ზრდის მის როლს ეკონომიკურ პროცესში. ფინანსური ანალიზის ინფორმაციის წყაროს შეადგენს ბუღალტრული ანგარიშგების სრული პაკეტი, უმთავრესად ბალანსი და მ/ზ ანგარიშგება.

სქემატურად ბუღალტრული ბალანსი წარმოადგენს ცხრილს, რომელიც შედგენილია ორი ნაწილისგან: მარცხენა (აქტივი) გამოსახავს ორგანიზაციის სახსრების შემადგენლობას, მათ განთავსებასა და გამოყენებას, ხოლო მარჯვენა (პასივი) ასახავს იმავე სახსრებს, თუმცა მათი ფორმირების წყაროებისა და დანიშნულების მხიედვით. აქტივის ჯამი უდრის პასივის ჯამს.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება შეიცავს ინფორმაციას შემოსავლების, ხარჯების, მოგებისა თუ ზარალის, სახეობებსა და მოცულობას, რომელიც მიღებულია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

იმისათვის, რომ იქნას მიღებული გადაწყვეტილება, საჭიროა გაანალიზდეს საწარმოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის დონე, გადახდისუნარიანობა და მისი ფინანსური ურთიერთობები პარტნიორებთან.

ძირითად ფინანსურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება ლიკვიდურობის, რენტაბელობის, საბაზრო მდგრადობის, სახსრების ბრუნვადობის კოეფიციენტები. საწარმოს შესაძლო გაკოტრების თვალსაზრისით, შესაფასებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ალტმანის მაჩვენებელი.

მაჩვენებელთა დახმარებით, საწარმოს ხელმძღვანელები ახორციელებენ დაგეგმარებას, კონტროლს, საჭიროების შემთხვევაში ცვლიან საქმიანობის მიმართულებას.

იმისათვის, რომ კომპანიებმა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, წარმატებულად იფუნქციონირონ, ასევე არ დაუშვან ფირმის გაკოტრება, საჭიროა ხელმძღვანელებს ესმოდეთ, თუ როგორ მართონ ფინანსური რესურსები, როგორი უნდა იყოს კაპიტალის სტრუქტურა შედგენილობითა და ფორმირების წყაროების მიხედვით, სახსრების რა ნაწილი უნდა იყოს საკუთარი და რა ნაწილი - მოზიდული. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ობიექტური და საიმედო ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ფინანსური ანალიზის მეშვეობით.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა - ეს არის ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების სურათი, რაც გამოიხატება საწარმოს გადახდისუნარიანობაში, ლიკვიდურობასა და კრედიტუნარიანობაში. ფინანსური მდგომარეობა ასევე წარმოადგენს კომპანიის საქმიანი აქტიურობისა და საიმედოობის მახასიათებელ ნიშანს. ის განსაზღვრავს მის კონკურენტუნარიანობას, გამოდის სამეურნეო საქმიანობის მონაწილეთა ეკონომიკური ინტერესების რეალიზების გარანტიად.

საწარმოს ფინანსური სტაბილურობა (მდგრადობა) შეიძლება განვიხილოთ ფინანსური მდგომარეობის შემადგენელ ნაწილად. ფინანსური მდგრადობის უმაღლეს დონედ ითვლება საწარმოს უნარი, იფუნქციონიროს და განვითარდეს უპირატესად დაფინანსების საკუთარი წყაროებით.

ფინანსურ მდგრადობასთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ, არანაკლებ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს წარმოადგენს გადახდისუნარიანობა და ლიკვიდურობა. თავის მხრივ, გადახდისუნარიანობასა და ლიკვიდურობას კარგად ახასიათებს საკუთარი საბრუნავი კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა საბრუნავ

აქტივებსა და მოკლევადიან ვალდებულებებს შორის. საწარმო ითვლება ლიკვიდურად, თუკი მას აქვს საშუალება დაფაროს მოკლევადიანი ვალდებულებები მიმდინარე აქტივების რეალიზაციის ხარჯზე.

სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“-ს მაგალითზე ჩატარებული ფინანსური ანალიზის შედეგად გამოვლინდა: კაპიტალის ფინანსური შენარჩუნების კონცეფცია არ კმაყოფილდება - წლის ბოლოს წლის დასაწყისთან შედარებით საკუთარი კაპიტალი შემცირებულია 4 232 ათ. ლარით.

ბალანსის ვერტიკალური ანალიზის დროს საყურადღებოა დაფინანსების წყაროების თანაფარდობა. სასურველია, საკუთარი კაპიტალის წილი 50%-ს აღემატებოდეს, თუმცა საანალიზო საწარმოს შემთხვევაში, ეს პირობა არ სრულდება. კომპანია დაფინანსებულია ძირითადად მოზიდული კაპიტალით - 2017 წლის მდგომარეობით, ვალდებულებები შეადგენს დაახლოებით 69%-ს.

ბუღალტრული ბალანსის მთლიანი სტრუქტურის წარმოდგენა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თითოეულ მუხლს რა წილი უკავია ბალანსში. საწარმოს აქტივების თითქმის 89%-ს შეადგენს ძირითადი საშუალებები, რაც აიხსნება კომპანიის საქმიანობით. პასივებში ყურადღებას იქცევს ზარალის არსებობა. წლის ბოლოსთვის ზარალი გაზრდილია 8.51%-ით.

ბალანსის ჰორიზონტალური ანალიზის შედეგად გამოვლინდა უარყოფითი ტენდენციები: აქტივების მოცულობა 2017 წლის ბოლოსთვის, წლის დასაწყისთან შედარებით შემცირებულია 3.95%-ით. საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები სხვადასხვა მიმართულებით იცვლება: საკუთარი კაპიტალის შემცირების ტემპი 0.2 %, ხოლო ვალდებულებების ზრდის ტემპი კი 3.451 %-ს წარმოადგენს.

საწარმოს გადახდისუნარიანობის ანალიზის მიზანია, შეფასებულ იქნეს მისი უნარი, დაფაროს თავისი მოკლევადიანი ვალდებულებები. ანალიზისთვის გამოიყენება ლიკვიდურობის კოეფიციენტები. 2016 წელს ლიკვიდურობის მაჩვენებლები ნორმატიულ მნიშვნელობებთან ახლოს იყო, თუმცა 2017 წელს აღენიშნება ლიკვიდურობის სერიოზული ვარდნა. ეს გამოწვეულია აქტივების შემცირებითა და ვალდებულებების ზრდით. 2017 წელს სააქციო საზოგადოების ფინანსური მდგომარეობა დამძიმდა.

ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები ასახავენ კომპანიის უნარს, დაფაროს გრძელვადიანი ვალდებულებები. ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტებიდან მხოლოდ ფინანსური დამოკიდებულების მაჩვენებელი აკმაყოფილებს ნორმატიულ მნიშვნელობას. 2017 წელს იგი შეადგენდა 0.69%-ს. ფინანსური სტაბილურობის სამი კოეფიციენტი - საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი, საბრუნავი კაპიტალის უზრუნველყოფის კოეფიციენტი და მარაგების უზრუნველყოფის კოეფიციენტი უარყოფითი მნიშვნელობისაა.

მანევრირების კოეფიციენტის (აჩვენებს საკუთარი კაპიტალის იმ წილს, რომელიც ჩადებულია საბრუნავ საშუალებებში) უარყოფითი მნიშვნელობა ნიშნავს დაბალ ფინანსურ მდგრადობას იმის გათვალისწინებით, რომ სახსრები დაბანდებულია რთულად რეალიზებად აქტივებში (ძირითადი საშუალებები), ხოლო საბრუნავი კაპიტალი კი ჩამოყალიბდა მოზიდული სახსრების ხარჯზე. იგივე შეიძლება ითქვას დანარჩენ ორ კოეფიციენტზე - საბრუნავი სახსრების მთლიანი მოცულობა და ნაწილობრივ, არასაბრუნავი აქტივების ნაწილი ჩამოყალიბდა მოზიდული წყაროების ხარჯზე.

ამრიგად, ვალდებულებების მაღალი წილი იწვევს საწარმოს გადახდისუნარობის რისკს, ფინანსური მენეჯმენტისგან ყურადღებას ითხოვს დაგროვილი ზარალის არსებობა, რომელიც საანგარიშგებო წლის ბოლოს არის გაზრდილი. მოგება/ზარალის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დიდია პერსონალის ხარჯი, სხვა საოპერაციო ხარჯები და ფინანსური ხარჯები, რამაც გამოიწვია სწორედ ზარალი. პოზიტიურ მოვლენას ის წარმოადგენს, რომ 2016 წელთან შედარებით, სრული წლიური ზარალი არის შემცირებული. 2016 წლის მდგომარეობით, სრულმა ზარალმა შეადგინა 12375 ათ. ლარი, ხოლო 2017 წელს კი 4498 ათ. ლარი.

დადებით მოვლენას წარმოადგენს მოგებიდან შექმნილი რეზერვების წილის ზრდა, იგი წლის დასაწყისთან შედარებით 5.84 %-ით გაიზარდა.

საწარმოს ფინანსურმა განყოფილებამ უნდა გამოავლინოს ის ფაქტორები და მიზეზები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ კომპანიის გადახდისუნარიანობასა და ფინანსურ სტაბილურობაზე. საჭიროა ხარჯების ოპტიმიზაცია, რათა რაც შეიძლება მოკლე პერიოდში შემცირდეს ზარალი და საქმიანობა ორიენტირებულ იქნეს მოგებაზე.

პერსონალის გადამზადება, გათავისუფლება/ახლების აყვანა, მომსახურების გაუმჯობესება, ახალი პირობების შეთავაზე მომხმარებელთათვის - ეს ყველაფერი პირდაპირ არ უკავშირდება ფინანსურ მხარეს, თუმცა განხორციელებულმა ცვლილებებმა შესაძლოა ირიბად მოახდინოს ზემოქმედება საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე. მომსახურებათა მრავალფეროვნება, კომპანიისთვის კარგი შემოსავლის მომტანი და ამავდროულად, მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი ფასები დადებითად აისახება კომპანიის ფინანსებზე.

რეკომენდირებულია ანალიტიკოსის მოწვევა და მოსალოდნელი ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირება, რათა გამოვლინდეს სავარაუდო ტენდენციები. პროგნოზირება ხელს უწყობს საწარმოს მართვის დონის ამაღლებას, ის აუცილებელია ბიუჯეტის შედგენისთვის, ძირითადად ხარჯების ნაწილში. შემოსავლები ნაკლებად პროგნოზირებადია.

## გამოყენებული ლიტერატურა

- 1) ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება, ლურჯი წიგნი, 2018
- 2) ბარბაქაძე ხ., ფინანსური მენეჯმენტი (ლექციების კურსი), თბილისი, 2015
- 3) ლომსაძე ე., მელიქიძე ც., წამალაშვილი ე., ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებში, თბილისი, 2010
- 4) ჭილაძე ი., მმართველობითი აღრიცხვა (სახელმძღვანელო), თბილისი, 2016
- 5) ჭილაძე ი., ფინანსური ანალიზი, თბილისი, 2018
- 6) ხარაბაძე ე., ფინანსური აღრიცხვა (მე-2 დონე, ლექციების კურსი), თბილისი, 2018
- 7) ჯიქია მ., ჩეჩელაშვილი რ., ბურდული ფ., ეკონომიკური ანალიზი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011
- 8) F2 - მმართველობითი აღრიცხვა, ACCA, თბილისი, ბაფ, 2014
- 9) F7 - ფინანსური ანგარიშგება, ACCA, თბილისი, ბაფ, 2014
- 10) F9 - ფინანსური მართვა, ACCA, თბილისი, ბაფ, 2014
- 11) James C. VanHorne, John M. Wachowicz, Fundamentals of Financial Management (13th edition), FT Prentice Hall, Harlow, 2009
- 12) Абрютинa М.С., Грачев А.В., Анализ финансово-экономической деятельности предприятия, Москва, «Дело и Сервис», 2001
- 13) Селезнева Н.Н., Ионова А.Ф., Финансовый анализ, Москва, «ИЗДАТЕЛЬСТВО ЮНИТИ-ДАНА», 2001
- 14) Анализ финансовой устойчивости  
<https://www.audit-it.ru/finanaliz/terms/solvency/>
- 15) Банкротство предприятия  
[http://www.grandars.ru/college/pravovedenie/bankrot.html?fbclid=IwAR1jXMGHZeLbqztjuXXnlPF06G6Na49JHrlKdxOHBVc\\_GSZdSuvOFFiXKRc](http://www.grandars.ru/college/pravovedenie/bankrot.html?fbclid=IwAR1jXMGHZeLbqztjuXXnlPF06G6Na49JHrlKdxOHBVc_GSZdSuvOFFiXKRc)
- 16) Методы прогнозирования денежных потоков  
[https://studbooks.net/1627461/finansy/metody\\_prognozirovaniya\\_denezhnyh\\_potok](https://studbooks.net/1627461/finansy/metody_prognozirovaniya_denezhnyh_potok)



[ov?fbclid=IwAR05yXnBUjSFdNtV9Tjp99sOj7g7xLwyo1dumo0ddMFuU713VkMOIx5Zbk8](https://ov?fbclid=IwAR05yXnBUjSFdNtV9Tjp99sOj7g7xLwyo1dumo0ddMFuU713VkMOIx5Zbk8)

17) Методы прогнозирования банкротства предприятия

[https://moluch.ru/archive/132/37030/?fbclid=IwAR1pnwn-jJGzHjh6sJxgcWZYei\\_0-PX5kJz1LEYc1dKATPsZ5U4yKWKxvXQ](https://moluch.ru/archive/132/37030/?fbclid=IwAR1pnwn-jJGzHjh6sJxgcWZYei_0-PX5kJz1LEYc1dKATPsZ5U4yKWKxvXQ)

18) Признаки банкротства

[http://1fin.ru/?id=281&t=1482&fbclid=IwAR1jXMGHZeLbqztjuXXnlPF06G6Na49JHrIKdxOHBVc\\_GSZdSuvOFFiXKRc](http://1fin.ru/?id=281&t=1482&fbclid=IwAR1jXMGHZeLbqztjuXXnlPF06G6Na49JHrIKdxOHBVc_GSZdSuvOFFiXKRc)

19) Платежеспособность и ликвидность предприятия

<http://www.grandars.ru/college/ekonomika-firmy/likvidnost-predpriyatiya.html>

20) Прогнозирование финансовой отчетности: важнейший инструмент

стратегического и тактического управления

[https://dis.ru/library/710/31022/?fbclid=IwAR2cfcGW5GqWmuyEVzy8vHsfV87fh8B311ROcsromfQZUCv4kYJ\\_Ki4rb5U](https://dis.ru/library/710/31022/?fbclid=IwAR2cfcGW5GqWmuyEVzy8vHsfV87fh8B311ROcsromfQZUCv4kYJ_Ki4rb5U)

21) [http://afdanalyse.ru/publ/finansovyj\\_analiz/fin\\_koeffitcieni/analiz\\_finansovoj\\_ustojchivosti/3-1-0-22](http://afdanalyse.ru/publ/finansovyj_analiz/fin_koeffitcieni/analiz_finansovoj_ustojchivosti/3-1-0-22)

**დანართი 1**

სს ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი  
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ათას ლარში)

	2016	2017
<b>აქტივები</b>		
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>		
ძირითადი საშუალებები	61544	59548
არამატერიალური აქტივები	308	215
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>61852</b>	<b>59763</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>		
მარაგები	571	608
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2585	1067
ფული და ფულის ეკვივალენტები	4577	5505
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	<b>7733</b>	<b>7180</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>69585</b>	<b>66943</b>
<b>საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>		
სააქციო კაპიტალი	51145	51145
დამფუძნებლებთან ოპერაციის რეზერვი	5660	5926
დაგროვილი ზარალი	(31701)	(36199)
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>	<b>25104</b>	<b>20872</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	33170	26414
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>33170</b>	<b>26414</b>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>		
საგადასახადო ანარიცხი	-	957
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	9221	16422
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2090	2278
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>	<b>11311</b>	<b>19657</b>
<b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>69585</b>	<b>66943</b>

**დანართი 2**

სს ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი  
 მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 (ათას ლარში)

	<b>2016</b>	<b>2017</b>
შემოსავალი	9965	12100
პერსონალის ხარჯი	(3543)	(3607)
ცვეთა და ამორტიზაცია	(4927)	(2322)
საგადასახადო ხარჯი	(602)	(597)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(5196)	(6027)
<b>სოპერაციო ზარალი</b>	<b>(4303)</b>	<b>(453)</b>
წმინდა ფინანსური ხარჯები	(4042)	(4152)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(3963)	1001
სხვა ხარჯები	(67)	(894)
<b>წმინდა ზარალი</b>	<b>(12375)</b>	<b>(4498)</b>
სხვა სრული შემოსავალი	-	-
<b>სრული ზარალი</b>	<b>(12375)</b>	<b>(4498)</b>

**დანართი 3**

სს ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი  
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  
 2017 წლის 31 დეკემბრისთვის  
 (ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი	დამფუძნებლებთან ოპერაციის რეზერვი	დაგროვილი ზარალი	სულ
<b>31 დეკემბერი 2015</b>	<b>51145</b>	<b>4741</b>	<b>(19326)</b>	<b>36560</b>
პერიოდის სრული ზარალი	-	-	(12375)	(12375)
დამფუძნებლებთან ოპერაციის შედეგი	-	919	-	919
<b>31 დეკემბერი 2016</b>	<b>51145</b>	<b>5660</b>	<b>(31701)</b>	<b>25104</b>
პერიოდის სრული ზარალი	-	-	(4498)	(4498)
დამფუძნებლებთან ოპერაციის შედეგი	-	266	-	266
<b>31 დეკემბერი 2017</b>	<b>51145</b>	<b>5926</b>	<b>(36199)</b>	<b>20872</b>

**დანართი 4**

სს ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი  
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება  
 2017 წლის 31 დეკემბრისთვის  
 (ათას ლარში)

	2016	2017
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
ზარალი დაბეგვრამდე	(12375)	(4498)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	4927	2322
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	154	84
ანარიცხის ხარჯი	-	957
წმინდა ფინანსური ხარჯები	4042	4152
წმინდა მოგება/(ზარალი) სხვაობიდან	3963	(1001)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>711</b>	<b>2016</b>
<b>ცვლილებამდე</b>		
ცვლილება სამუშაო კაპიტალში:		
მარაგების ზრდა/შემცირება	17	(37)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება	2722	1292
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა	440	188
<b>ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>3890</b>	<b>3459</b>
გადახდილი პროცენტები	(6492)	(2699)
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>(2602)</b>	<b>760</b>
<b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(280)	(233)
მიღებული პროცენტები	247	218
<b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>(33)</b>	<b>(15)</b>
<b>წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში</b>	<b>(2635)</b>	<b>745</b>
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>	<b>7266</b>	<b>4577</b>
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა	(54)	183
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის</b>	<b>4577</b>	<b>5505</b>

